



პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა (კატალოგი)

სამკურნალო საქმე

2025-2026 სასწ. წელი

## შინაარსი

საკონტაქტო ინფორმაცია.....	2
აკადემიური კალენდარი.....	5
ზოგადი ინფორმაცია .....	8
მისია .....	5
საგანმანათლებლო პროგრამები .....	5
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - „ მედიცინა“ .....	5
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.....	6
პროგრამის მიზანი .....	6
პროგრამის ამოცანები.....	7
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.....	7
სასწავლო გეგმა .....	10
პირველი წელი.....	10
მეორე წელი.....	11
მესამე წელი .....	12
მეოთხე წელი.....	12
მეხუთე წელი .....	13
მეექვსე წელი .....	14
სტუდენტის შეფასების სისტემა.....	15
პროგრამის სწავლის შედეგები.....	17
მატერიალური და ადამიანური რესურსი .....	20
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა .....	22
დასაქმების სფერო.....	21
ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა – „ მედიცინა“ .....	22
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა .....	22
პროგრამის მიზანი .....	23
პროგრამის ამოცანები.....	23
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები .....	24
სასწავლო გეგმა .....	27
პირველი წელი.....	27
მეორე წელი .....	27
მესამე წელი .....	28
მეოთხე წელი.....	29
მეხუთე წელი.....	30
მეექვსე წელი .....	31
სტუდენტის შეფასების სისტემა.....	32
პროგრამის სწავლის შედეგები .....	34
მატერიალური და ადამიანური რესურსი .....	37
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა .....	38
დასაქმების სფერო.....	38

## საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: ქეთევან წამებულის 51/2, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2912484

(+995 32) 2746409

ფაქსი: (+995 32) 2747134

ელ-ფოსტა: tma@tma.edu.ge / international@tma.edu.ge

Skype: international.tma

რექტორი	ირინე შოთაძე ტელ: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409 ელ-ფოსტა: i.shotadze@tma.edu.ge
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	ნინო სიხარულიძე ტელ: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409 ელ-ფოსტა: n.sikharulidze
დეკანი	გელა ბესელია ელ.ფოსტა: <a href="mailto:g.beselia@tma.edu.ge">g.beselia@tma.edu.ge</a> ტელ: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409
ერთაფეროებიანი საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელები	ცისანა ლომაშვილი ელ-ფოსტა: ts.lomashvili@tma.edu.ge  კახა ბრეგვაძე ელ.ფოსტა: <a href="mailto:k.bregvadze@tma.edu.ge">k.bregvadze@tma.edu.ge</a>  ტელ: (+995 32) 2912 484 (+995 32) 2746 409
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	ია ავალიანი - ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ნატალია კოჭლაშვილი - მიმდინარე პროექტების კოორდინატორი თეკლა რატიანი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორი E-mail: <a href="mailto:international@tma.edu.ge">international@tma.edu.ge</a> Tel: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	სოფიო დვალი ტელ: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409 <a href="mailto:s.dvali@tma.edu.ge">s.dvali@tma.edu.ge</a>



ოფის-მენეჯერი	ნათია ტორონჯაძე ტელ: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409 <a href="mailto:tma@tma.edu.ge">tma@tma.edu.ge</a>
საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვის კოორდინატორი	მაია რატიშვილი Tel: (+995 32) 2912484 (+995 32) 2746409 E-mail: <a href="mailto:admission@tma.edu.ge">admission@tma.edu.ge</a>

აკადემიური კალენდარი 2025-2026

შემოდგომის სემესტრი

**I სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები - 15.09.25 - 17.01.26  
 შუალედური გამოცდები - 31.10.25 – 08.11.25  
 საშობაო არდადეგები - 01.01.26 - 07.01.26  
 დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 23.01.26 -07.02.26/09.02.26 - 14.02.26

**III სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები - 15.09.25 - 17.01.26  
 შუალედური გამოცდები - 31.10.25 – 08.11.25  
 საშობაო არდადეგები - 01.01.26 - 07.01.26  
 დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 21.01.26 -07.02.26/09.02.26 - 14.02.26

**III სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები - 15.09.25 - 17.01.26  
 შუალედური გამოცდები - 12.11.25 – 22.11.25  
 საშობაო არდადეგები - 01.01.26 - 07.01.26  
 დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 21.01.26 -07.02.26/09.02.26 -14.02.26

**VII, IX, XI სემესტრები:**

სააუდიტორიო მეცადინეობები - 15.09.25- 07.02.2026  
 საშობაო არდადეგები - 01.01.26 - 07.01.26  
 დასკვნითი გამოცდები, ყოველი კურსის ბოლოს  
 დამატებითი გამოცდები - 09.02.26 - 14.02.26

გაზაფხულის სემესტრი

**II სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები-02.03.26 - 27.06.26  
 შუალედური გამოცდები - 24.04.26 - 02.05.26  
 სააღდგომო არდადეგები - 10.04.26 - 13.04.26  
 დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 03.07.26 -18.07.26/20.07.26 - 25.07.26

**IV სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები-02.03.26 - 27.06.26  
 შუალედური გამოცდები - 22.04.26 - 02.05.26  
 სააღდგომო არდადეგები - 10.04.26 - 13.04.26  
 დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 01.07.26 -18.07.26/20.07.26 - 25.07.26

**VI სემესტრი:**

სააუდიტორიო მეცადინეობები-02.03.26 - 27.06.26

შუალედური გამოცდები - 29.04.26 - 09.05.26

სააღდგომო არდადეგები - 10.04.26 - 13.04.26

დასკვნითი/დამატებითი გამოცდები - 01.07.26 -18.07.26/20.07.26 - 25.07.26

**VIII, X, XII სემესტრები:**

სააუდიტორიო მეცადინეობები-02.03.26 - 27.06.26

შუალედური გამოცდები - 29.04.26 - 09.05.26

სააღდგომო არდადეგები - 10.04.26 - 13.04.26

დასკვნითი გამოცდები ყოველი კურსის ბოლოს

დამატებითი გამოცდები- 20.07.26 - 25.07.26

**ზოგადი ინფორმაცია**

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია დაფუძნდა 1992 წელს. 1993 წლიდან დღემდე თსა დაამთავრა 2500-მდე მედიკოსმა. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით მოღვაწეობს როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის კლინიკებში და ფარმაცევტულ ფორმებში. 60-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ინტერნაციონალურ გაცვლით პროგრამებში რომლის ფარგლებშიც წარმატებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ სწავლების ნაწილი გაიარონ უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებში და მიიღონ უნიკალური გამოცდილება საერთაშორისო დონის სპეციალისტებად მათი შემდგომი განვითარებისათვის.

თბილისის სამედიცინო აკადემია აღიარებულია ქვემოთჩამოთვლილი მედიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ:

International Association for Health Professions Education (AMEE)- სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაცია

Association of Medical Schools in Europe (AMSE) – ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაცია

European Medical Students Association (EMSA) - ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია

WFME -World Federation for Medical Education - სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია

World Health Organization – (WHO AVICENNA) - ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

International Directory of Medical Education (IMED) - სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცნობარი

Foundation for Advancement of International Medical Education and Research (FAIMER) - საერთაშორისო სამედიცინო განათლებისა და კვლევის ხელშეწყობის ორგანიზაცია

Educational Commission for Foreign Medical Graduates (ECMG) - უცხოელ კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისისა

NMC – National Medical Commission (India) - ეროვნული სამედიცინო კომისისა(ინდოეთი)

თსა-მ ავტორიზაცია მოიპოვა 2024 წელს, ხოლო ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები- „სამკურნალო საქმე“(ქართულენოვანი) და“ მედიცინა“(ინგლისურენოვანი), აკრედიტებულია 2020წელს.

## მისია

*“თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.”*

### ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - მედიცინა

პროგრამის სახელწოდება	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა – „მედიცინა“
საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათანაბრებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან
პროგრამის ხანგრძლივობა	6 წელი, 12 სემესტრი
ასათვისებელი კრედიტების მოცულობა (ECTS)	
1 კრედიტი	30 ასტრონომიულ საათი
1 სემესტრი	30 კრედიტი
1 წელი	60 კრედიტი
სულ	360 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი - Medical Doctor
სწავლების ენა	ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

**საქართველოს მოქალაქეები** - სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეები დაიშვებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ქართული ენის, ინგლისური ენის და ბიოლოგიის სავალდებულო გამოცდებს და ქიმიის/ ფიზიკის/მათემატიკის ერთ-ერთ არჩევით გამოცდას;

**უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები** პროგრამაზე დაიშვებიან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი და ამოცანები წარმოადგენს კურიკულუმის საფუძველს და განსაზღვრავს მის შინაარსს. ყურადღება გამახვილებულია ჩვენი საზოგადოების საჭიროებებისა და სამედიცინო პრაქტიკის შეცვლილ მოთხოვნებზე, აგრეთვე, თანამედროვე სამედიცინო განათლებისათვის

დამახასიათებელი მიმართულებების ინტეგრირებაზე.

### პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს დიპლომირებული მედიკოსების მომზადებას საზოგადოებაში ექიმის როლისა და კომპეტენციების გათვალისწინებით - მათ აღჭურვას საერთაშორისო სტანდარტების და განახლებული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ცოდნის შესაბამისად; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერებას; კლინიკური, კომუნიკაციური და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, სამედიცინო პრაქტიკისთვის შესაფერისი მაღალი ეთიკური ღირებულებების და მიდგომების დამკვიდრებას, თვითანალიზის უნარის განვითარებას და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაციას.

### პროგრამის ამოცანები

1. მისცეს სტუდენტს მტკიცებულებაზე დაფუძნებული თანამედროვე ცოდნა დაავადების მექანიზმისა და მკურნალობის შესახებ: ასწავლოს სტუდენტს ადამიანის ორგანიზმის ნორმალური და პათოლოგიური მორფოლოგია და ფუნქცია მოლეკულურ, უჯრედოვან, ორგანოთა სისტემების, მთლიანი ორგანიზმის დონეზე კლინიკურ მეცნიერებებთან ინტეგრაციით სოციალური ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპეტენციების განვითარებას.
2. განუვითაროს სტუდენტს კლინიკური მსჯელობის უნარი/კომპეტენცია: ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ კლინიკური პრობლემის არსის ღრმად გააზრებას, მეცნიერული და სოციალური პრინციპების, აგრეთვე, ჯანდაცვის სისტემების თეორიული ცოდნის გამოყენებას კლინიკურ აზროვნებაში.
3. განუვითაროს სტუდენტს პაციენტზე ზრუნვისთვის საჭირო კლინიკური უნარები: გამოუმუშაოს სტუდენტს პაციენტის კონსულტაციის, კლინიკური შემთხვევის მართვის, პრაქტიკული პროცედურების შესრულებისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარი/კომპეტენცია; ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ პაციენტის უსაფრთხოების, ხარისხისხიანი მოვლის და პაციენტზე ორიენტირებული, ჰოლისტიკური პრინციპების გათავისებებას.
4. გამოუმუშაოს სტუდენტს პროფესიონალიზმი: თეორიული სწავლების, სამედიცინო პრაქტიკის და თვითანალიზის (რეფლექსიის) საშუალებით ხელი შეუწყოს სტუდენტში ექიმის შესაბამისი მორალური ღირებულებებისა და ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებას - პაციენტისა და მისი ოჯახისთვის გულისხმიერი, ემპათიური დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად; გამოუმუშაოს სტუდენტს თვითანალიზის უნარი, რითაც უზრუნველყოფს მის პერსონალურ და პროფესიონალურ განვითარებას და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაციას; განუვითაროს სტუდენტს კრიტიკული აზროვნების, მართვისა და ლიდერობის უნარი, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ რთულ სიტუაციაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კონტექსტში.
5. აღჭურვოს სტუდენტი ეფექტური კომუნიკაციის უნარებით - შესძინოს ინტერპერსონალური უნარები და ასწავლოს პაციენტთან და მის ოჯახთან ემპათიური მოპყრობა; აგრეთვე ეფექტური კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან, ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, აკადემიურ საზოგადოებასთან, მედიასთან და სამართლებრივ ორგანოებთან - ზეპირი, წერილობითი და ელექტრონული ფორმით.
6. მისცეს სტუდენტს ცოდნა ჯანდაცვის სისტემების და მათი მართვის ძირითადი პრინციპების - ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის შესახებ: უზრუნველყოს სტუდენტის მიერ მეცნიერული ცოდნისა და კლინიკური უნარების გამოყენება ცალკეულ ინდივიდსა და საზოგადოებაში დაავადების თავიდან აცილებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით; აგრეთვე, საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად სტუდენტის მიერ უსაფრთხო, მაღალი ხარისხის, ხარჯთეფექტური, პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურება ქრონიკული დაავადებების მართვისა და პალიატიური/ტერმინალური მოვლის ჩათვლით.

7. აღზარდოს „სოციალური აგენტი“, რომელსაც გაცნობიერებული ექნება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე: მოამზადოს სტუდენტი, რომელიც შესძლებს საზოგადოების მოთხოვნების შესაბამის სამედიცინო საქმიანობას სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და ორგანიზაციის - პირველადი, მეორეული და მესამეული ჰოსპიტლებისა და ამ სისტემის ქვაკუთხედის - ექიმის როლის შესახებ; საზოგადოების არაერთგვაროვნების სოციალური დეტერმინანტების, გლობალური ჯანდაცვის შესახებ; უზრუნველყოს სტუდენტის მიერ პაციენტის მოვლის უსაფრთხოებისა და ხარისხის პრინციპების გათვალისწინება და ჩამოუყალიბოს მას მაღალი პასუხისმგებლობა როგორც ინდივიდუალური პაციენტისა და მისი ოჯახის, ასევე, მთელი საზოგადოების წინაშე.
8. გამოუმუშაოს სტუდენტს ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების უნარი/კომპეტენცია: ხელი შეუწყოს სტუდენტის კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამედიცინო პრინციპების გამოყენების უნარის განვითარებას. ასწავლოს სტუდენტს მედიცინის მიმართ მეცნიერული მიდგომა და განუვითაროს ახალი ცოდნის შექმნისა და მისი გაზიარების კომპეტენცია პედაგოგის ხელმძღვანელობით სამეცნიერო პროექტის განხორციელებისა და თეზისის შექმნის საშუალებით.
9. განუვითაროს სტუდენტს გუნდში მუშაობისა და თანამშრომლობის უნარი/კომპეტენცია: გამოუმუშაოს სტუდენტს კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი - შესძინოს ინტერპერსონალური უნარები და გუნდში მუშაობის კომპეტენცია, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობისა და სამუშაო დატვირთვის გაზიარებას.

### კურიკულუმის დიდაქტიკური კონცეფცია

კურიკულუმის დიდაქტიკური კონცეფცია ეყრდნობა კომპეტენციაზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების პრინციპს- Competency Based Medical Education (CBME). ეს უკანასკნელი გულისხმობს სწავლების ბოლოს კურსდამთავრებულების მიერ ექიმის კომპეტენციების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგები/კომპეტენციები გაწერილია CANMeds ექიმის კომპეტენციების ჩარჩოს მიხედვით და სრულ თანხვედრაშია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

პაციენტსა და სტუდენტზე ორიენტირებული, ინტეგრირებული (PSI) კურიკულუმი მიმართულია პრობლემის ანალიზისა და გადაჭრის უნარების სწავლებაზე (inquiry-based) და იყენებს თანამედროვე სამედიცინო განათლებაში არსებულ სტრატეგიებს: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლების აქტიური, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდების TBL (Team-based Learning), CBCR, CR, CBL გამოყენება კლინიკური მსჯელობის და გუნდური მუშაობის სწავლების პროცესში, სიცოცხლის მანძილზე მუდმივი პროფესიული განვითარების უნარის გამოუმუშავება(მაგ. პორტფოლიოს დავალებების შესრულებით); ინტეგრაცია - კურიკულუმი მოიცავს ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდულების ხაზებს; სტუდენტებს აქვთ საშუალება აირჩიონ არჩევითი კურსები; აქცენტი კეთდება საზოგადოების საჭიროებებზე, სწავლებისა და შეფასების პროცესში გამოყენებულია სისტემატური მიდგომა. შედეგად, პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებიც არაა არაფერზე არაფერი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით და მზად არიან განახორციელონ პაციენტზე ორიენტირებული, ჰოლისტიური მიდგომის მქონე მომსახურება.

კურიკულუმში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი ფსიქო-სოციალური ასპექტები, რომლებიც ინტეგრირებულია ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებთან პაციენტის მიმართ ერთიანი, ჰოლისტიკური მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. ტრანსფორმაციული სწავლების პრინციპი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გააცნობიერონ ცოდნას, კვლევასა და საზოგადოებრივ სერვისებს შორის კავშირები. გარდა შექმნილი ცოდნისა, ასეთი მიდგომა, ხელს უწყობს სტუდენტების სოციალურ აგენტებად ჩამოყალიბებას და შესაბამისად, თსა-ს მიერ მესამე მისიის წარმატებით განხორციელებას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა პირობითად დაყოფილია სამ ეტაპად:

I ეტაპი	საბაზისო, ქცევითი და სოციალური დისციპლინები- ინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებთან	1 – 3 წელი
II ეტაპი	კლინიკური დისციპლინები- ინტეგრირებულია ბაზისურ დისციპლინებთან	4 – 5 წელი

III ეტაპი	ზოგადი სპეციალიზაცია	მე-6 წელი
-----------	----------------------	-----------

**პირველ, პრეკლინიკურ ეტაპზე** სტუდენტებს შეისწავლიან ადამიანის ორგანოების და ორგანოთა სისტემების ნორმალურ სტრუქტურას და პროცესებს, პათოლოგიურ მორფოლოგიას და ძირითად პათოლოგიურ პროცესებს, მათ შორის, ინფექციების საფუძვლებს და ბუნებას, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის საფუძვლებს, კლინიკური ჩანაწერების წარმოებას და მოწესრიგებულად შენახვას, პროფესიული კომუნიკაციის პრინციპებს, სამედიცინო ეთიკას და ფსიქოლოგიას.

**მეორე, კლინიკურ ეტაპზე** სტუდენტები იღებენ ღრმა თეორიულ ცოდნას დაავადებებისა და სინდრომების შესახებ, მათი გამოვლინებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ. ამ ეტაპზე სტუდენტები ივითარებენ პრაქტიკულ უნარებს, კლინიკურ კომპეტენციებს - როგორც კლინიკურ გარემოში ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, აგრეთვე, კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით მანევრებსა და სიმულაციურ/სტანდარტულ (SP) პაციენტზე.

**მესამე ეტაპზე**, რომელიც არის სწავლის ბოლო წელი, სტუდენტები განაზოგადებენ ფუნდამენტურ დისციპლინებში შეძენილ ცოდნას - თერაპია, ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, პედიატრია საოჯახო მედიცინა. სტუდენტები შეისწავლიან დიფერენციული დიაგნოზის ხელოვნებას, კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად მუშაობენ კლინიკურ გარემოში რეალურ პაციენტთან: აწარმოებენ ფიზიკალურ გასინჯვას, აკეთებენ დიფერენციალურ დიაგნოზს, ახდენენ მონაცემთა შეგროვებას და ინტერპრეტაციას, ადგენენ გამოკვლევისა და მართვის გეგმას.

**კურიკულუმი მოიცავს რიგი სასწავლო კურსების/მოდულების რამდენიმე ლოგიკურ ჯაჭვს, რომლების ქმნის ე.წ. ხაზებს:**

**პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია(IPC) ხაზი** - ინტეგრირებული მოდულია, კომუნიკაციურ უნარებთან ერთად აერთიანებს ჯანდაცვის ფსიქო-სოციალურ ასპექტებს, კლინიკური მსჯელობისა და პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის უნარებს, პრაქტიკულ პროცედურებს, გასდევს სასწავლო პროგრამას პირველი 6 სემესტრის განმავლობაში და პროფესიულ კომპეტენციებს აინტეგრირებს სხვადასხვა ბაზისური დისციპლინებიდან/მოდულებიდან მიღებულ ცოდნასთან.

**ინტეგრირებული მოდულების ხაზი** - ორგანოთა სისტემაზე დაფუძნებული 2 ხაზი: 1. **კლინიკურად ორიენტირებული მოდულების(COMs) ხაზი**, მოიცავს 7 მოდულს, აინტეგრირებს ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგიას და გასდევს მე-2-3-4-სემესტრებს, 2. **დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები(BDTs)ხაზი**, მოიცავს 6 მოდულს, აინტეგრირებს პათოლოგიასა და ფარმაკოლოგიას და გასდევს მე-4-5-6 სემესტრებს.

**კვლევის ხაზი** - ინტეგრირებულია კურიკულუმში 1-დან მე-12 სემესტრის ჩათვლით. უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას ბაზისური ცოდნიდან პრაქტიკული კვლევითი აქტივობების ჩათვლით. მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს/მოდულებს: 1-ლი სემესტრი - აკადემიური წერა, მე-2 სემესტრი - შესავალი სამედიცინო კვლევაში, მე-8 სემესტრი - ეპიდემიოლოგია, მე-11-12 სემესტრები - სამცნიერო-კვლევითი პროექტი 1 და 2

**მეტამედიკის ხაზი** - პრეკლინიკურ და კლინიკურ ეტაპზე მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც დაკავშირებულია პაციენტის მოვლის ფსიქოსოციალურ ასპექტებთან: კომუნიკაციური უნარები და სამედიცინო ეთიკა, სამედიცინო ფსიქოლოგია და ჯანმრთელობის ფსიქოლოგია, სამედიცინო ანთროპოლოგია და სამედიცინო ფსიქოლოგია.

კურიკულუმის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია სწავლების მე-3 და მე-6 წლის ბოლოს არსებული OSCE ტიპის სუმატიური გამოცდები, რომლებიც ასოცირებულია კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი კურსები(Capstone course) 1 და 2-თან შესაბამისად. პირველი კურსი აჯამებს

პრეკლინიკურ ფაზაში შეძენილ კლინიკურ კომპეტენციებს და არის კლინიკური ფაზის დისციპლინების წინაპირობა, ხოლო მეორე, OSCE დამამთავრებელი გამოცდა - აჯამებს კლინიკურ ეტაპს და წარმოადგენს დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის მინიჭების წინაპირობას.

**არჩევითი საგნები:** სავალდებულო კურსების გარდა, აკადემია სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კურსების ფართო ჩამონათვალს. ელექტიური საგნები წარმოდგენილია როგორც პრეკლინიკურ, ასევე, კლინიკურ ეტაპზე ქვემოთ მოცემული სქემით: მე-3, მე-5, და მე-7-8-9-10 სემესტრებში -არჩევითების 1 ბლოკი 2 ECTSკრედიტით, ხოლო სწავლების ბოლო მე-11-12 სემესტრებში არჩევითების 2 ბლოკი ორ-ორი კრედიტით(4 ECTS კრედიტი თითოეულ სემესტრში), სულ 360 კრედიტიდან 20 ECTSკრედიტი, დანარჩენი 340 კრედიტი წარმოდგენილია სავალდებულო საგნებით. ზოგიერთი ელექტიური ქურსი მოიცავს ზოგად , ტრანსფერულ უნარებს(მაგ. ფოტოგრაფია, საოფისე პროგრამები). თითოეული სემესტრის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მომდევნო სემესტრისთვის აირჩიონ საგანი/ კურსი თავიანთი ინტერესის შესაბამისად.

**კლინიკური უნარ-ჩვევების** გამომუშავებისათვის განკუთვნილი სასწავლო კურსების ჯამური მოცულობა **32 ECTS** კრედიტია, ხოლო **სამეცნიერო-კვლევითი უნარებისათვის** განსაზღვრული სასწავლო კურსების ჯამური მოცულობა **15 ECTS** კრედიტი.

სტუდენტებისთვის სავალდებულოა **ინგლისური/გერმანული ენების შესწავლა(12 კრედიტი)**, რაც ხელს უწყობს მათ მიერ საერთაშორისო სამედიცინო ლიტერატურის და სამეცნიერო წყაროების გაცნობას უახლესი ინფორმაციის ათვისებისათვის, აგრეთვე, სამეცნიერო და პროფესიულ კომუნიკაციას უცხოელ კოლეგებთან.

## სწავლების შედეგების მიღწევის საშუალებანი - სწავლების მეთოდები/ ფორმატები

### სწავლების ფორმატები

- **სემინარი** - კურიკულუმი თავისუფალია ლექციებისგან, სემინარი არის მთავარი ფორმატი, რომელიც გამოიყენება თეორიულ საკითხებზე მსჯელობისათვის და დისკუსიისათვის.
- **პრაქტიკული სამუშაო** - გულისხმობს თეორიული ცოდნის გამოყენებას კლინიკური მსჯელობის პროცესში - კლინიკური შემთხვევის განხილვა, პაციენტთან კომუნიკაციას, რეალიზირებული პაციენტის, სტანდარტიზებული პაციენტის ფიზიკალურ გასინჯვას, პრაქტიკული პროცედურების ჩატარებას პაციენტსა და მანეკენზე.
- **ლაბორატორიული სამუშაო** - ხორციელდება სავალდებულო აქტივობის სახით ბიოსამედიცინო დისციპლინების ღრმად შესასწავლის, სამეცნიერო და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავების მიზნით. ლაბორატორიული სამუშაო ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, პათოლოგიის, იმუნოლოგიის, ფიზიოლოგიის და ლაბორატორიული მედიცინის სასწავლო კურსების სავალდებულო კომპონენტია. დამატებით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში და განივითარონ შესაბამისი ლაბორატორიული უნარები.
- **ადრეული კლინიკური გამოცდილება ECE- Early Clinical Exposure (ECE)**- აღნიშნული აქტივობა მედიცინის სწავლების ადრეულ ეტაპზევე, პირველივე წელს, კლინიკურ გარემოში, რეალურ პაციენტთან შეხვედრის საშუალებას აძლევს სტუდენტებს. საავადმყოფოში, ამბულატორიასა და გერიატრიული მოვლის ცენტრებში ვიზიტისას სტუდენტები ახორციელებენ პაციენტის კონსულტაციის ობზერვაციას და შემდეგ პორტფოლიოს დავალების ფარგლებში აანალიზებენ CANMed-ის ჩარჩოთი განსაზღვრულ ექიმის, როგორც კომუნიკატორის, როლს.
- **აქტიური სწავლების ფორმატები - CBCR, TBL, CBL, FC**
- **შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა -Case-Based Clinical Reasoning(CBCR)** - სწავლების ეს მეთოდი გამოიყენება კლინიკური მსჯელობის უნარის გასავითარებლად მესამე კურსზე კურსების- დაავადებების დიაგნოსტიკა 1 და 2 ფარგლებში. იგი ხორციელდება სესიების ფორმატით და განსახილველი კლინიკური შემთხვევების თემატიკა ინტეგრირებულია იმ ორგანოთა სისტემასთან, რომელიც შეისწავლება დაავადებათა დიაგნოსტიკის კურსების ფარგლებში.
- **გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება - Team-based Learning (TBL)** - პრობლემების გუნდურად განხილვასა და გადაჭრაზე ორიენტირებული ეს მეთოდი ადაპტირებულია თსა მიერ, როგორც პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ალტერნატიული მიდგომა აქტიური სწავლების კომპონენტის გაძლიერების მიზნით. TBL ფორმატში წარმართული კლინიკური მსჯელობის სესიები სესიები არის IPC ინტეგრირებული მოდულების ხაზის განუყოფელი ნაწილი, აგრეთვე, გამოიყენება ზოგიერთი კლინიკური დისციპლინის სწავლების დროს. იგი ეხმარება სტუდენტებს გამოიმუშავონ კოლაბორატორის კომპეტენცია გუნდში მუშაობის განსახორციელებლად.
- **შებრუნებული საკლასო ოთახი- Flipped Classroom(FC)** - მეთოდი გამოიყენება ბაზისური სწავლების ეტაპზე, ბიოსამედიცინო დისციპლინების სწავლებისას, იგი გულისხმობს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად კონკრეტული საკითხავი მასალის დამუშავებას და შესწავლას, ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების გამოყენებას, აგრეთვე, კლინიკური შემთხვევის განხილვას მცირე ჯგუფებში კლასში მუშაობისას. მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია ონლაინ სესიების ფორმატში სტუდენტთა აქტიური სწავლებისათვის.

- **შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება-Case based Learning(CBL)** - გამოიყენება კლინიკური კურაციების სწავლების ეტაპზე, მოიცავს რეალური პაციენტის შემთხვევის დეტალურ ანალიზს, აგრეთვე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით სტუდენტების მიერ ინფორმაციის მოძიებას, მის წერილობით წარდგენას და პრაქტიკულ გამოყენებას.
- **კლინიკური კურაციები/როტაციები** - სწავლების მე-4-მე-5-მე-6 წელს ხორციელდება თსა აფილირებულ კლინიკებში, სტუდენტები ახორციელებენ კომუნიკაციას რეალურ პაციენტთან და მის ფიზიკალურ გასინჯვას ზედამხედველობის ქვეშ, და დამოუკიდებლად. ამავე კურაციის ფარგლებში კლინიკური უნარების სწავლება ხორციელდება მანეკენებსა და სიმულაციურ/სტანდარტიზებულ პაციენტზე თსა კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრში.

**თეორიული სწავლების მეთოდები:**

- **ვერბალური მეთოდი** – სწავლის პროცესში სტუდენტებთან ურთიერთობის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ინტერაქტიულ ლექციებს PPT პრეზენტაციების გამოყენებით, ჯგუფურ სამუშაოს, სემინარებს, პრაქტიკულ სესიებს, კითხვა-პასუხს და დამოუკიდებელი სამუშაოს წარმოებას სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით.
- **მუშაობა სასწავლო სახელმძღვანელოზე** - დამოუკიდებელი სწავლებისათვის მიცემული და ახსნილი საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;
- **წერით დავალები** - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სასწავლო პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების დიდი ნაწილი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის წერითი დავალების შესრულებას, როგორცაა: ესე, ღია კითხვებზე პასუხების გაცემა, PPT პრეზენტაციების შექმნა; სამეცნიერო ანგარიშები, ლაბ.სამუშაოს ოქმის დაწერა, კლინიკური შემთხვევის წარდგენა, რეფლექსიების წერა, სამედიცინო ჩანაწერების შესრულება, და ა.შ.

**პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდები:**

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **აუდიო-ვიზუალური მეთოდი** - ეს მეთოდი გამოიყენება სწავლების ორივე ეტაპზე (საბაზისო და კლინიკური). გამოყენებულია ატლასები, კომპიუტერული პროგრამები, ანიმაციები, ვიდეო რგოლები. აუდიო-ვიზუალური მეთოდი ასევე მოიცავს Power Point პრეზენტაციის, სლაიდებისა და დაფების გამოყენებას.
- **პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching)** —გულისხმობს სტუდენტისთვის უნიკალური შესაძლებლობის მიცემას - სტუდენტი მუშაობს რეალურ გარემოში რეალურ პაციენტთან ზედამხედველობის ქვეშ და კლინიკურ უნარებთან და პროფესიონალურ ქცევასთან მიმართებაში იღებს მყისიერ უკუკავშირს პედაგოგისგან. პრაქტიკული უნარების დემონსტრირება შეიძლება მოიცავს: პაციენტის ისტორიის ჩანაწერების გაკეთება, მისი ფიზიკური გასინჯვა, მონაცემების/დასკვნების რეგისტრირება, შესაბამისი გამოკვლევების და ლაბორატორიული ტესტების შეკვეთა, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების გაცნობა/ინტერპრეტაცია, კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიგნოზის ჩატარება, დიაგნოზის დასმა, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა და შესაბამისი კომუნიკაცია პაციენტთან თუ მის თანმხლებ პირთან.

- **დემონსტრირების მეთოდი** – გულისხმობს ინფორმაციის და პრაქტიკული უნარების ვიზუალიზაციას. ეს მეთოდი გამოყენებულია კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში (Clinical Skills and Objective Structured Clinical Examination Centre) პრაქტიკული პროცედურების სწავლების მიზნით და სტანდარტიზებული/სიმულაციური პაციენტის (Standardized/simulated Patient-SP) გამოკვლევის მიზნით. დემონსტრირება შეუძლიათ როგორც პედაგოგებს, ასევე სტუდენტებს.
- **Role Play / როლური თამაში** - სწავლების ეს მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა როლის შესრულებას - ძირითადად, ექიმისა და პაციენტის როლის განაწილებას, და მათი ინტერპრეტაციის დროს პრაქტიკული/კლინიკური უნარების განვითარებას. სწავლების მეთოდი- Role play ფართოდ არის გავრცელებული განათლების საბაზისო დონეზე. მისი მეშვეობით ხდება პრაქტიკული უნარების განმარტება და დემონსტრირება. ასევე, იგი გამოიყენება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დროს, როდესაც ხდება სტანდარტიზებული/სიმულაციური პაციენტის (SP) გამოყენება როგორც საბაზისო, ასევე, კლინიკური სწავლების ეტაპზე.
- **დისკუსია/დებატები** - საკითხის ირგვლივ მსჯელობა - მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტის ცოდნის ხარისხს და მისი აქტივობის დონეს; ავითარებს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარს და ეხმარება მათ, დაასაბუთონ სხვადასხვა მოსაზრება ლოგიკური არგუმენტაციის გზით. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია რეგულარულად მასპინძლობს სტუდენტების სამეცნიერო დებატებს, რომელთა ფარგლებშიც აკადემიის და ასევე, სხვა უმაღლესი სამედიცინო სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები, მოწვეული არიან წინასწარ შერჩეული თემის ირგვლივ თავიანთი მოსაზრების წარსადგენად. ისინი იცავენ საკუთარ არგუმენტს ფაქტობრივი ცოდნისა და ეთიკის შესაბამისი ნორმების დაცვით.
- **შემთხვევის განხილვა / Case Study** – სიტუაციური ამოცანების განხილვა სწავლების ბაზისურ და კლინიკურ ეტაპზე. საბაზისო სწავლების ეტაპზე ეს მეთოდი მოიცავს სასწავლო პერსონალის ხელმძღვანელობით კლინიკური შემთხვევების, კლინიკური კორელაციებისა და სიტუაციური სცენარების განხილვას. კლინიკურ საფეხურზე ხდება კონკრეტულ რეალური კლინიკური შემთხვევის განხილვა. სიტუაციური ანალიზი გულისხმობს ბიოსამედიცინო, სოციალური და კლინიკური დისციპლინების არსებული ცოდნის გამომჟღავნებას, კლინიკურ მსჯელობას და პრაქტიკული უნარების გამოყენებას მოცემული სიტუაციის შეფასების, ანალიზის და მართვის გეგმის შემუშავების პროცესში.
- **სწავლება დიგიტალური ტექნოლოგიების გამოყენებით** - კომპიუტერული პროგრამების/სასწავლო პლატფორმების გამოყენება; anatomy visualization system - **Anatome table** - საშუალებით ბაზისური ბიოსამედიცინო დისციპლინების: ანატომიის, ჰისტოლოგიის, პათოლოგიის, რადიოლოგიის ინტეგრირებული სწავლება.
- **სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა** - აკადემიის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში როგორც სავალდებულო, ასევე კურსულუმგარეშე აქტივობების სახით. განათლების საწყის დონეზე სტუდენტები შეისწავლიან სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, ბიოსტატისტიკის მეთოდებს, თუ როგორ მოიპოვონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაცია და შეაფასონ ის კრიტიკულად, როგორ შეიმუშაონ კვლევის დიზაინი, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ სრულ პროცესს, გააანალიზონ და წარადგინონ მიგნებები / კვლევის შედეგები როგორც ვერბალურად, ასევე წერილობითი ფორმით. მე-6 კურსზე სტუდენტები აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ახორციელებენ ორ სავალდებულო კვლევით პროექტს და წარადგენენ ესეს.

- **ექიმის ასისტირება** - ექიმის დახმარება ავადმყოფის გასინჯვისა და მკურნალობის პროცესში კლინიკურ გარემოში, მანიპულაციების ჩატარების დროს.
- **პორტფოლიო** - პროგრამაში გამოყენებულია, როგორც სწავლებისა და შეფასების მეთოდი, რომელიც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების/კომპეტენციების მისაღწევად, განსაკუთრებით კი პროფესიონალიზმთან დაკავშირებული კომპეტენციების სწავლებისა და შეფასებისათვის. სტუდენტს პორტფოლიოს დავალებები ეძლევა სწავლების 6 წლის მანძილზე, პორტფოლიოს აქტივობებს მართავს მენტორი. აქტივობები ძირითადად მოიცავს თვითანალიზს(რეფლექსიას) და პერსონალური განვითარების გეგმის შედგენას(PDP).

## სასწავლო გეგმა

### პირველი წელი

I სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	ადამიანის ანატომია	5
2	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	4
3	ფიზიოლოგია	3
4	გენეტიკა	3
5	ბიოქიმია I	5
6	აკადემიური წერა	3
7	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 1 (IPC1)	3
8	უცხო ენა: 1. სამედიცინო ინგლისური 1	4
		30
II სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 1 (ზურგის ტვინი და გრძნობათა ორგანოები)/COM1	6
2	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 2 (თავის ტვინი)/ COM 2	6
3	ბიოქიმია 2	5
4	მოლეკულური ბიოქიმია	3
5	სამედიცინო ეთიკა	2
6	შესავალი სამედიცინო კვლევაში	3
7	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 2 (IPC2)	3
8	უცხო ენა:	2



	1. სამედიცინო ინგლისურ 2	
		30

## მეორე წელი

III სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 3 (გულ-სისხლძარღვთა სისტემა)/COM3	6
2	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 4 (სასუნთქი სისტემა)/COM 4	4
3	იმუნოლოგია	3
4	მიკრობიოლოგია 1	6
5	კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	2
6	ჯანმრთელობის სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები	2
7	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 3 (IPC3)	3
8	უცხო ენა: 1. ინგლისური ენა 1/გერმანული ენა 1	2
9	არჩევითი: 1.ფოტოგრაფია 2.საოფისე პროგრამები	2
		30
IV სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 5 (ენდოკრინული და რეპროდუქციული სისტემები)/COM5	4
2	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 6 (საჭმლის მომნელებელი სისტემა)/COM6	4
3	კლინიკურად ორიენტირებული მოდული 7 (შარდის გამომყოფი სისტემა)/COM7 (5 კვირა)	3
4	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 1(ზოგადი)/BDT1 (7კვირა)	5
5	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 2(ზოგადი)/BDT2	5
6	მიკრობიოლოგია 2	4

7	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 4 (IPC4)	3
8	უცხო ენა: 1. ინგლისური ენა 2/გერმანული ენა 2	2
9		30

მესამე წელი

V სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 3 (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები)/BDT3	6
2	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 4 (საჭმლის მომნელებელი სისტემა)/BDT4	6
3	ჯანმრთელობის & სამედიცინო ფსიქოლოგია	3
4	დაავადებათა დიაგნოსტიკა 1	6
5	ზოგადი ქირურგია	4
6	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 5 (IPC5)	3
7	უცხო ენა: 1. ინგლისური ენა 3/გერმანული ენა 3	2
		30
VI სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 5 (შარდ-სასქესო და ენდოკრინული სისტემები)/BDT5	6
2	დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები 6 (ნერვული და ძვალ-სახსროვანი სისტემები)/BDT6	5
3	რადიოლოგია	4
3	ქცევითმეცნიერება	3
4	დაავადებათა დიაგნოსტიკა 2	5
5	კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი კურსი 1	2
6	პროფესიული კომპეტენციების ინტეგრაცია 6 (IPC6)	3
7	არჩევითი: 1. ქცევის ფიზიოლოგია 2. პლანეტარული ჯანმრთელობა	2
		30

მეოთხე წელი



VII სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	შინაგანი მედიცინა 1 (კარდიოლოგია, პულმონოლოგია)	7
2	ოტორინოლარინგოლოგია	2
3	მეანობა	5
4	ნევროლოგია	6
5	ლაბორატორიული მედიცინა	3
6	ინტეგრირებული მოდული - ბიოსტატისტიკა და სამეცნიერო ანგარიში	3
7	სამედიცინო ანთროპოლოგია	2
8	არჩევითი: 1.კლინიკური გენეტიკა 2.ნუტრიციოლოგიის საფუძვლები	2
		30
VIII სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	შინაგანი მედიცინა 2 (ენდოკრინოლოგია & საჭმლის მომხელელებელი სისტემა)	6
2	ქირურგია 1	7
3	ინფექციური სნეულებანი	5
4	კლინიკური პარაზიტოლოგია	2
5	უროლოგია	2
6	გინეკოლოგია	4
7	ეპიდემიოლოგია	2
8	არჩევითი: 1.ტუბერკულოზი 2.არაინვაზიური გამომსახველობითი დიაგნოსტიკა კარდიოლოგიაში	2
		30

მეხუთე წელი

2		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	შინაგანი მედიცინა 3 (ჰემატოლოგია, რევმატოლოგია, ნეფროლოგია)	6
2	ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია	3
3	დერმატოვენეროლოგია	3
4	ოფთალმოლოგია	2
5	პედიატრია 1	4
6	გადაუდებელი მედიცინა	3
7	დაავადებათა პრევენცია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა	2
8	სასამართლო მედიცინა	3
9	მედიცინის ფილოსოფია	2
10	არჩევითი: 1. ენდოკრინული დაავადებები პაციენტთა სპეციფიურ ჯგუფებში 2. ნეირორადიოლოგია	2
		30
X სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	ქირურგია 2	4
2	ფსიქიატრია	5
3	საოჯახო მედიცინა 1	3
4	პედიატრია 2	5
5	კრიტიკული მედიცინა და ანესთეზიოლოგია	4
6	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	2
7	ორთოპედია-ტრავმატოლოგია	3
8	არჩევითი: 1. რეპროდუქციული მედიცინა	2



	2 .კლინიკური ტოქსიკოლოგია	
		30

მეექვსე წელი

XI სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	საოჯახო მედიცინა 2	3
2	ონკოლოგია & პალიატიური მოვლა	3
3	შინაგან სნეულებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა 1	6
4	ქირურგია 3	6
5	კლინიკური ფარმაკოლოგია და ფარმაკოთერაპია	3
6	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 1	3
7	სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვა და პაციენტის უსაფრთხოება	2
8	არჩევითი: 1. პროფესიული დაავადებები 2. კლინიკური ნუტრიციოლოგია	2
9	არჩევითი: 1. ბავშვთა ნევროლოგია 2. ინტერვენციული კარდიოლოგია	2
		30
XII სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი
1	შინაგანი სნეულებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა 2	7
2	პედიატრია 3	5
3	მეანობა & გინეკოლოგია დიფერენციალური დიაგნოსტიკა	4
4	სამედიცინო რეაბილიტაცია	2
5	კლინიკური ეთიკა და სამედიცინო პრაქტიკის სამართლებრივი საფუძვლები	2
6	კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი კურსი 2	2

7	სამეცნიერო კვლევითი პროექტი 2	3
8	არჩევითი: 1.კლინიკური კვლევის მეთოდოლოგია /GCP 2.ზავშვთა ქირურგია	2
9	არჩევითი: 1.რადიაციული ონკოლოგია 2.სისხლძარღვთა ქირურგია	2
		30

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების სილაბუსებს შეგიძლიათ გაეცნოთ აკადემიის ვებ. გვერდზე - [www.tma.edu.ge](http://www.tma.edu.ge)  
სილაბუსები დაცულია “კოდით” და მისი მიღება შეგიძლიათ რეგისტრაციის შემდეგ აკადემიის დეკანატში.

## სტუდენტის შეფასების სისტემა

აუდიტორიული/საკლასო აქტივობების ქვე-კომპონენტების რაოდენობა და ხასიათი, მათი შეფასების კრიტერიუმი განსაზღვრულია კურსის ხელმძღვანელის მიერ და აღწერილია კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტები სტუდენტს მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებითად შეფასდება კურსის დასრულების შემდეგ. სტუდენტის ცოდნის შემოწმება ხდება 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც 60 ქულა გროვდება სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების გზით, მათ შორის - შუალედური გამოცდითაც, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუალედური შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

**შუალედური გამოცდა**, რომელიც ტარდება ძირითად საგნებში სემესტრის მერვე კვირას. შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 1 საათი.

**საკლასო აქტივობა**, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ვერბალურ ან წერილობით შეფასებას, პრეზენტაციას, ესეს, ლაბორატორიულ დავალებას, კლინიკური მანიპულაციის შესრულების ხარისხის შემოწმებას, პრაქტიკულ პროცედურებს, კლინიკური მსჯელობის შეფასებას, TBL, CBCR, FC, CBL და ა.შ. აქტივობების შეფასებას;

როგორც ზემოთ აღინიშნა, დასკვნით **გამოცდას ეთმობა 40 ქულა**. იმისათვის, რომ სტუდენტმა მოიპოვიოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, შუალედური შეფასების შედეგად მას დაგროვილი უნდა ჰქონდეს **მინიმუმ 31 ქულა** და რიგ საგნებში დამაკმაყოფილებლად უნდა ჰქონდეს შესრულებული პორტფოლიოს დავალებები. დასკვნითი გამოცდა შესაძლოა, იყოს წერილობითი, ზეპირი ან კომბინირებული - წერითი და ზეპირი კომპონენტებისაგან შემდგარი (MCQ ტესტი ან ღია კითხვები), აგრეთვე, OSPE/OSCE ფორმატში, მე-6 კურსის ბოლოს პორტფოლიოს გამოცდა არის დიპლომის

პრერეკვიზიტი. დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი გამოცდაზე დააგროვებს 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულას(50%-იანი ზღვარი). აღსანიშნავია, რომ კომბინირებული გამოცდის ჩასაბარებლად სტუდენტმა თითოეულ კომპონენტში უნდა მიიღოს მითითებული ქულის მინიმუმ 50%.

სტუდენტს საგნის გავლის შემდეგ ენიჭება ECTS კრედიტი იმ შემთხვევაში, თუკი იგი დასკვნითი გამოცდის დასრულების შემდეგ დააგროვებს 100-დან მინიმუმ **51 ქულას**. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება მერყეობს 41-50 ქულის ფარგლებში, მას ეძლევა უფლება, ხელახლა გავიდეს დამატებით გამოცდაზე, სასწავლო კურსის გამეორების გარეშე. დასკვნითი გამოცდის გადაბარება ხდება მინიმუმ 5 დღის ინტერვალით. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება 41 ქულაზე ნაკლებია, მან ხელახლა უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

**ინტეგრირებულ მოდულები** - მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი უნდა შეადგენდეს 31-ს, ასევე, მოდულის თითოეულ საგანში სტუდენტმა უნდა გადალახოს 50%-იანი ზღვარი, რომ დაშვებული იქნას მოდულის დასკვნითი გამოცდაზე. დასკვნითი გამოცდა შესაძლოა მოიცავდეს მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს.

**სტრუქტურირებული ზეპირი გამოცდა(SOE – Structured Oral Exam)** - შეფასების ინოვაციური ფორმა, რომელიც დანერგილია პირველი სემესტრის IPC მოდულის შუალედურ გამოცდაზე და მიზნად ისახავს 3 სადგურზე პირველკურსელების ცოდნისა და კლინიკური პრობლემის პაციენტისათვის გასაგები ენით ვერბალიზაციის უნარის შემოწმებას სტუდენტის SP პაციენტთან ზეპირი კომუნიკაციის პროცესში.

**ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)** ტარდება საბაზისო ინტეგრირებულ მოდულებში შემდეგ დისციპლინებში: მიკრობიოლოგია, ორგანოთა სისტემები: ჰისტოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგია, ფარმაკოლოგია; გამოცდის ჩაბარების ზღვარია 50%;

**ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)** - ტარდება მე-3 და მე-6 წლის ბოლოს, სტუდენტის კლინიკური კომპეტენციების შეფასების მიზნით; მე-6 სემესტრის ბოლოს OSCE გამოცდა ასოცირებულია **კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელ კურსი1-თან**, მისი ძირითადი თემებია კომუნიკაციური უნარები, ანამნეზის აღება SP-ზე, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვა მენენზე, მონაცემთა ინტერპრეტაცია, რთულ პაციენტთან კომუნიკაცია, პრაქტიკული პროცედურების შესრულება მანეკენზე. მე-12 სემესტრის ბოლოს, OSCE გამოცდა ასოცირებულია **კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელ კურსი2-თან**, იგი მოიცავს იმ კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტებმა განვიტარეს ძირითადი კლინიკური საგნების - შინაგანი მედიცინა, ქირურგია, მენობა და გინეკოლოგია, პედიატრია, საოჯახო მედიცინა, ფსიქიატრია, შესწავლისას.

**პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო)** - პორტფოლიოს საგანმანათლებლო პროგრამაში აქვს როგორც კომპეტენციების სწავლების, ასევე, მათი შეფასების როლი. პორტფოლიო ინტეგრირებულია პროგრამაში სწავლების 6 წლის მანძილზე.

პროგრამაზე სწავლისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, სტუდენტები წერენ თვითანალიზს, აფასებენ საკუთარ მიღწევებს, ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რომ უკეთ გააცნობიერონ და გაითავისონ CANMeds-ის ექიმის კომპეტენციების ჩარჩოთი განსაზღვრული როლები. სტუდენტები მენტორის მხრიდან იღებენ უკუკავშირს, რასაც შემდგომ იყენებენ პერსონალური განვითარების გეგმის(PDP) ჩამოყალიბებისათვის. შედეგად, სტუდენტები გამოიმუშავენ თვითკრიტიკისა და თვითანალიზის უნარებს, რაც პიროვნული და პროფესიული ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სწავლების მე-6 წელს სტუდენტების კლინიკური კომპეტენციების მიმდინარე(ფორმატიული) შეფასება ხდება **WPBA** (შეფასება სამუშაო ადგილზე) შერჩეული მეთოდით. ეს შეფასებები აკუმულირდება პორტფოლიოში თვითრეფლექსიასა და პერსონალური განვითარების

გეგმასთან(PDP) ერთად.

პორტფოლიოსთან არის ასოცირებული სტუდენტის დღიური - **ლოგბუქი(Logbook)**, რომელშიც აისახება სწავლების კლინიკურ ეტაპზე სტუდენტის კლინიკური კომპეტენციების განვითარება კურსების ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული პრაქტიკული აქტივობების - პაციენტის კონსულტაციისა(ანამნეზი, ფიზიკალური გასინჯვა) და შესრულებული პრაქტიკული პროცედურების სახით.

**უკუკავშირი(feedback):** უკუკავშირი, როგორც სტუდენტის შეფასებისა და სწავლების საშუალება, წარმოადგენს პროგრამის შეფასების სისტემის არსებით კომპონენტს და ხორციელდება რეგულარულად ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში. იგი ეხმარება სტუდენტს გააცნობიეროს ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა მან გამოიმუშავოს სწორი სტრატეგია შემდგომი განვითარებისათვის. უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს პედაგოგის, სუპერვიზორის და შემფასებლის მიერ თეორიული საკითხებისა და პრაქტიკული უნარების სწავლების პროცესში ზეპირი ან წერილობითი ფორმით. უკუკავშირი პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია, იგი მოიცავს სტუდენტის პროფესიონალური ქცევის, აკადემიური მიღწევების, თვითგანვითარების გეგმისა და რეფლექსიების ნერატიულ წერით უკუკავშირს და ხორციელდება მენტორის მიერ. დასკვნითი გამოცდის შემდეგ უკუკავშირი ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული სტუდენტის მიერ აპელირების შემთხვევაში.

განსაკუთრებული როლი აქვს უკუკავშირს სწავლების პირველ წელს, ფორმაციული შეფასების მეთოდის, განვითარებაზე ორიენტირებული ტესტირების(GOT) ფარგლებში. აღნიშნული შეფასების ფორმატი გულისხმობს ქულის გარეშე სტუდენტის ცოდნაში ხარვეზების აღმოჩენას და საჭიროებაზე მორგებული, სტრუქტურირებული უკუკავშირის მიცემას ცოდნის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ფორმატი არა მარტო სიახლეს წარმოადგენს შეფასების სისტემაში, არამედ ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული აქტიური სწავლების სტიმულაციას და სტუდენტებისათვის ნაკლებად სტრესული გარემოს შექმნას საუნივერსიტეტო სწავლების სპეციფიკასთან ადაპტაციისათვის.

**რემედიაცია:** გულისხმობს სტუდენტის მიერ კლინიკური(პრაქტიკული) უნარების დახვეწას და გაუმჯობესებას დამოუკიდებელი მუშაობის სახით თსა მატერიალური რესურსების გამოყენებით: კლინიკური უნარების ფორმატიული შეფასების(ობზევაციის) პროცესში უკუკავშირის მიღების შემდეგ ან კლინიკური უნარ-ჩვევებში სუმატიური შეფასებისას არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ივარჯიშოს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში, დამოუკიდებლად იმუშავოს VR ოთახში და Anatomage table-თან, გაიმჯობესოს ლაბ. უნარები თსა ლაბორატორიაში.

რემედიაციის პროცესს ემსახურება კურიკულუმში მე-3 და მე-6 წლის ბოლოს არსებული ე.წ. **კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელი კურსები 1 და 2 (Capstone courses 1 and 2)**, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ მოემზადონ OSCE სუმატიური გამოცდებისათვის.

### შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სქემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი-არადაამაკმაყოფილებელი, ვერ ჩააბარა სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება

41-50 (FX)	არადამაკმაყოფილებელი, ვერ ჩააბარა სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება
0-40 (F)	სრულიად არადამაკმაყოფილებელი - ჩაიჭრა; სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

## პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები / კომპეტენციები ეფუძნება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტს და მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და გაწერილია CanMEDs ექიმის კომპეტენციების ჩარჩოს (The CanMEDs Physician Competency Framework ) მიხედვით თითოეული კომპეტენციის დონე განსაზღვრულია მილერის პირამიდის მიხედვით (I – IV დონე).

### I მედიცინის ექსპერტი

1. როგორც მედიცინის ექსპერტს, კურსდამთავრებულს გათავისებული აქვს ექიმის 6 როლი და მათი ურთიერთკავშირი: კომუნიკატორი, კოლაბორატორი, მენეჯერი, ჯანმრთელობის ადვოკატი, სწავლული და პროფესიონალი IV
2. კურსდამთავრებული იყენებს ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნას კლინიკური პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღებისას: ანალიზებს დაავადების პათოგენეზს, აკავშირებს მას დაავადების კლინიკურ გამოვლინებასთან, დიაგნოსტიკის, დიფერენციალური დიაგნოზის, მკურნალობის, მონიტორინგის და პრევენციის პრინციპებთან კლინიკური მსჯელობის პროცესში. IV
3. კურსდამთავრებული კონსულტიას უწევს პაციენტს და აფასებს კლინიკურ შემთხვევას:
  - a. კრებს ანამნეზს IV
  - b. ახორციელებს პაციენტის ფიზიკალურ გასინჯვას IV
  - c. აფასებს პაციენტის მდგომარეობის სიმძიმეს IV
  - d. ატარებს დიფერენციალურ დიაგნოზს IV
  - e. აგროვებს მონაცემებს(ანამნეზი, ფიზიკალური გასინჯვის მონაცემები, ლაბორატორიული გამოკვლევები დასხვ.) და ახდენს მათ ინტერპრეტაციას და ანალიზს IV
  - f. სვამს სწორ დიაგნოზს IV
  - g. პაციენტს უნიშნავს ხარჯთეფექტურ და რაციონალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დანიშნულებას IV
  - h. ადგენს პაციენტზე ორიენტირებულ მკურნალობისა და თვით მოვლის მართვის გეგმას, რომელიც მოიცავს პრევენციას, ქრონიკული დაავადებების, პალიატიური პაციენტის და ტერმინალური მდგომარეობის მართვას. IV
4. კურსდამთავრებული უზრუნველყოფს პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენას გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს:
  - ამოიცნობს გადაუდებელ სამედიცინო მდგომარეობას და აფასებს მისი სიმძიმის ხარისხს: ახდენს სიმპტომებისა და ობიექტური ნიშნების იდენტიფიცირებას IV
  - ახორციელებს ბაზისური პირველადი დახმარებას ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებებს, გაფართოებულ სიცოცხლის შემანარჩუნებელ ღონისძიებებს, ტრამეების გადაუდებელ მკურნალობას და მართვას - IV
5. კურსდამთავრებული ახორციელებს რიგ პრაქტიკულ პროცედურებს უსაფრთხოდ და მაღალკვალიფიციურ დონეზე (III-IV):

5. კურსდამთავრებული ახორციელებს რიგ პრაქტიკულ პროცედურებს უსაფრთხოდ და მაღალკვალიფიციურ დონეზე (III-IV):

1. სისხლის არტერიული წნევის გაზომვა (არაინვაზიური) (IV- პაციენტზე )
2. პერიფერიული და ცენტრალური პულსის გაზომვა (IV - პაციენტზე)
3. სუნთქვის სიხშირის გაზომვა (IV - პაციენტზე)
4. ტემპერატურის გაზომვა (IV- პაციენტზე)
5. ტკივილის შეფასება შესაბამისი შკალის მიხედვით (IV - პაციენტზე)
6. ჟანგბადის სატურაციის გაზომვა (IV - პაციენტზე)
7. ჟანგბადის მიწოდება (IV - პაციენტზე)
8. პაციენტის ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა( III - სიმულატორზე/SP პაციენტზე)
9. ფილტვის ფუნქციონალური ტესტების ჩატარება( IV - პაციენტზე)
10. ინჰალაციური მედიკამენტების მიწოდება( IV - პაციენტზე)
11. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების ამოცნობა და შეფასება (DRSABCDE)
12. ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი(BLS) ღონისძიებების განხორციელება DRSABCDE ალგორითმის გამოყენებით, სახელმძღვანელო პრინციპების(გაიდლაინების) შესაბამისად (III/[IV- მანეკენზე) მათ შორის:
  - CPR – კარდიოპულმონარული რეანიმაცია,
  - AED – ავტომატური გარეგანი დეფიბრილაცია,
13. სბაზისური პირველადი დახმარების გაწევის ასაკობრივი თავისებურებანი ახალშობილებში, ბავშვებსა და ხანდაზმულებში (III სიმულატორებზე)
14. გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარება სახელმძღვანელო პრინციპების(გაიდლაინების) შესაბამისად(სიმულატორზე)ACLS
15. პირველადი გადაუდებელი დახმარება ანაფილაქსიური შოკის დროს
16. ხელების დაბანა (საკუთარ თავზე)
17. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება და უტილიზაცია (IV საკუთარ თავზე)
18. ნაკერის დადება, ადგილობრივი საანესთეზიო საშუალების ინექცია სიმულატორზე
19. ტრავმის მართვა პრეკლინიკურ დონეზე:
  - a. ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება (III -SP პაციენტზე).
  - b. არტერიული და ვენური სისხლდენის შეჩერების ტექნიკა(სიმულატორზე)
  - c. იმობილიზაციის ტიპები და ტექნიკები (III - მანეკენზე).
20. ტრავმის დროს გადაუდებელი დახმარება სახელმძღვანელო პრინციპების(გაიდლაინების) შესაბამისად. (III - სიმულატორზე)
21. პირველადი გადაუდებელი დახმარება ანაფილაქსიური შოკის დროს
22. ინექცია კანში (III - მანეკენზე)
23. კანქვეშა ინექცია (III - მანეკენზე)
24. ინექცია კუნთში (III - მანეკენზე)
25. პერიფერიული ვენაპუნქცია, სისხლის აღება ანლიზისთვის (III - მანეკენზე)
26. პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია (III - მანეკენზე)
27. პერიფერიულ ვენაში სამკურნალო საშუალებების შეყვანა და ინფუზიური მოწყობილობის გამოყენება (III - მანეკენზე), დოზის კალკულაცია, განზავება, ინტრავენური ბოლუსი და ინექცია Hepa-lock-ის გამოყენებით (III -მანეკენზე)
28. ნაზოგასტრალური და ორო-გასტრალური ინტუბაცია (III -მანეკენზე)
29. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (III - მანეკენზე)

30. ენდოტრაქეალური ინტუბაცია (III - მანეკენზე)
31. ცხვირხახიდან და პირხახიდან ნაცხის აღება (III, სიმულატორზე)
32. ელექტროკარდიოგრამის გადაღების პროცედურა, ეკგ-ს ინტერპრეტაცია (III/IV – SP/პაციენტზე)

## II კომუნიკატორი

6. **კურსდამთავრებული ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტთან და პაციენტის ოჯახის წევრებთან** ეთემპათიით და ეთიკური პრინციპების დაცვით: კრებს ანამნეზს, მოიპოვებს ინფორმირებულ თანხმობას, განუმარტავს პაციენტს დიაგნოსტიკურ ტესტებს და პროცედურებს, მკურნალობის გეგმასა და მეთოდებს; შუძლია ცუდი ამბის შეტყობინება, აგრესიულ პაციენტთან კომუნიკაცია, შეზღუდული შესაძლებლობების პაციენტთან კომუნიკაცია და კომუნიკაცია მესამე პირის დახმარებით (თარჯიმნის დახმარებით). (IV)
7. **კურსდამთავრებული აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას**– ცხადად, სრულყოფილად და თანმიმდევრულად ახდენს მის კომუნიკაციას ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სხვა შესაბამის პროვაიდერთან. (IV)
8. **კურსდამთავრებული წარადგენს პაციენტის შემთხვევას/ სამეცნიერო კვლევის შედეგებს წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაციის სახით** კოლეგებთან და სამედიცინო სერვისის სხვა პროვაიდერებთან, ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან. (IV)
9. **კურსდამთავრებული ახდენს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარების დემონსტრირებას** : ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, აგრეთვე, ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. (IV)
10. **კურსდამთავრებული იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით**: ახდენს პაციენტის მოვლის ოპტიმიზაციას (ინახავს დოკუმენტაციას კონფიდენციალურობის დაცვით, აწარმოებს ელექტრონულ და სატელეფონო კომუნიკაციას პაციენტებთან და კოლეგებთან), ახორციელებს კვლევით აქტივობებს და უზიარებს კვლევის შედეგებს სამეცნიერო საზოგადოებას. (IV)
11. **კურსდამთავრებული ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას მედიისა და სამართლებრივი ორგანოების წარმომადგენლებთან**: მედიასთან და სამართლებრივ ორგანოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ავლენს ძირითად სამართლებრივ და ეთიკური პრინციპების ცოდნას ; მონაწილეობას იღებს ეთიკური პრობლემის გადაჭრაში; გასცემს სიკვდილის ცნობას, წერილობით აფორმებს აუტოპსიის მოთხოვნას, კლინიკურ პრაქტიკაში ხელმძღვანელობა საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივ და პროფესიონალური რეგულაციებით, იცავს კონფიდენციალობას. (IV)

## III კოლაბორატორი

12. **კურსდამთავრებული ეფექტურად მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში და თანამშრომლობს კოლეგებთან/ჯანდაცვის სერვისების სხვა მიმწოდებლებთან**: იღებს და აძლევს უკუკავშირს, პატივს სცემს სხვების მოსაზრებას, ინაწილებს სამუშაო დატვირთვას და პასუხისმგებლობებს ჯგუფის სხვა წევრებთან. (IV)

## IV მენეჯერი

13. **კურსდამთავრებული მართავს კლინიკურ შემთხვევას და ამჟღავნებს ლიდერის უნარებს**: სამართლიანად ანაწილებს ჯანდაცვის რესურსებს, შესწევს პრიორიტეტების დასახვის უნარი, ახორციელებს უსაფრთხო, მაღალი ხარისხის, ხარჯთეფექტურ მკურნალობას (IV)

14. კურსდამთავრებული მართავს პირად საკითხებს, როგორცაა: კარიერა, დრო, ჯანმრთელობა ; პირად ცხოვრებას ათავსებს პროფესიულ საქმიანობასთან. (IV)

#### V ჯანმრთელობის ადვოკატი

15. კურსდამთავრებული პრაქტიკულად იყენებს ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნას პაციენტის საჭიროებების განსაზღვრისა და მართვის პროცესში მათი გათვალისწინების მიზნით : აფასებს პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს, მართავს პაციენტს ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში საუკეთესო მომსახურების მისაღებად მისი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. (IV)

16. კურსდამთავრებული იყენებს ჯანდაცვის სისტემების ცოდნას ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის პროცესში როგორც ინდივიდუალურ პაციენტთან, ასევე საზოგადოებასთან: მოიპოვებს, აფასებს და იყენებს ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს; აფასებს გარემოს, სოციალურ, ეკონომიკურ, პროფესიულ, კულტურულ, კვებით და ჯანმრთელობის სხვა განსაზღვრულ ფაქტორებს(დეტერმინანტებს); კურსდამთავრებული გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს გადამდები და არაგადამდები დაავადებების პირველად, მეორეულ და მესამეულ პრევენციულ ზომებს პირველადი და მეორადი ჯანდაცვის რგოლებში; ხელს უწყობს ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრებას. (IV)

#### VI სწავლული

17. კურსდამთავრებული ეწევა თვით-სწავლასა და განვითარებას- დამოუკიდებლად მართავს პერსონალურ და პროფესიულ წინსვლას (IV):

- ა. ჯეროვნად აფასებს და აღწერს საკუთარ საგანმანათლებლო საჭიროებებს
- ბ. აყალიბებს და წერს პირადი განვითარების გეგმას
- ც. ახორციელებს დამოუკიდებელ სასწავლო აქტივობებს(აქტიური სწავლა)
- დ. აფასებს საკუთარი სწავლის შედეგებს
- ე. გააჩნია სიცოცხლის მანძილზე მუდმივი სწავლის მოტივაცია(თვითანალიზი(რეფლექსია), თვითგანვითარების გეგმა(PDP))

18. კურსდამთავრებული პრაქტიკულად იყენებს სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის ცოდნას: ნათლად აყალიბებს ბიოსამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დისციპლინებთან დაკავშირებულ კვლევისთვის შესაბამის კითხვებს; გეგმავს კვლევის დიზაინს და ახორციელებს მას, ახდენს კვლევის შედეგების ანალიზს და დასკვნების ფორმულირებას, წარუდგენს მას კოლეგებსა თუ სხვა დაინტერესებულ საზოგადოებას.(IV)

19. კურსდამთავრებული იყენებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკაში: ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს - ახდენს კლინიკური და სამეცნიერო-კვლევითი კითხვების ფორმულირებას, იძიებს რელევანტურ სამედიცინო წყაროებს და იყენებს ახალ ცოდნას კლინიკურ პრაქტიკაში. (IV)

20. კურსდამთავრებული ჩართულია პაციენტის, მისი ოჯახის წევრების და თანასწორთა/კოლეგების სწავლების პროცესში: გეგმავს და ახორციელებს სასწავლო აქტივობებს, აძლევს უკუკავშირს სწავლისა და პრაქტიკული საქმიანობის გასაუმჯობესებლად. (IV)

#### VII პროფესიონალი

21. კურსდამთავრებული სამედიცინო პრაქტიკაში იყენებს ბიოსამედიცინო ეთიკისა და საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების ცოდნას : არის ეთიკური პრინციპების ერთგული და ემოქნება დისკრიმინაციას რასის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, სქესის, კულტურული ღირებულებების საფუძველზე. პაციენტთან და კოლეგებთან კომუნიკაციის დროს მოქმედებს

ეთიკური და საქართველოს და საერთაშორისო სამედიცინო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მონაწილეობს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, პატივს სცემს პაციენტის უფლებებს და ღირსებას, იცავს კონფიდენციალობას და პრივატულობას. (IV)

22. **კურსდამთავრებული ავლენს პროფესიონალურ მიდგომას და ექიმის ზოგად მორალურ ღირებულებებს, როგორცაა:** კეთილგანწყობა, პატივისცემა, გულისხმიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, პრინციპულობა, პასუხისმგებლობა, ალტრუიზმი და ემპათია; ორიენტირებულია საკუთარი შეცდომების აღიარებასა და გამოსწორებაზე. (IV)

23. **კურსდამთავრებული კრიტიკულად აფასებს როგორც საკუთარ, ასევე კოლეგების საქმიანობას:** შეუძლია საკუთარი ავტონომიის ზღვარის აღქმა და დახმარების თხოვნა, აქვს ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა პროვაიდერის კომპეტენციის შესახებ, ახორციელებს პაციენტის სწორ რეფერალს, აფასებს კოლეგებს (peer review) და უზრუნველყოფს უწყვეტ უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას. (IV)

24. **კურსდამთავრებული ახდენს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებით და გადაწყვეტილებების მიღების უნარების დემონსტრირებას:** ადაპტირდება ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოსთან, ანალიზებს კომპლექსურ სიტუაციას, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს და ჭრის პრობლემას - ამჟღავნებს შემოქმედებით და ლიდერობის უნარებს. (IV)

25. **კურსდამთავრებულს აქვს უნარი იმოქმედოს საერთაშორისო კონტექსტში:** ფლობს უცხო ენას (ინგლისურს), იცნობს და მიყვება პაციენტის მართვის/ მკურნალობის, ჯანდაცვის სტრუქტურისა და ორგანიზების მუდმივად განახლებად მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს (IV)

### სოციალური პასუხისმგებლობა:

- **კურიკულუმგარეშე აქტივობები:**
  - კვლევით პროექტებში (საზოგადოებრივი კვლევები-community research ) და კონფერენციებში მონაწილეობა;
  - სხვადასხვა სოციალურ პროექტში მონაწილეობა საზოგადოებაში ექიმის როლის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადების პრევენციის საკითხებთან მიმართებაში
- **ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინება:** კურიკულუმში ხაზგასმულია იმ თემების სწავლება, რომელიც იდენტიფიცირებულია ქვეყანაში, როგორც ჯანმრთელობის ძირითადი/ ყველაზე გავრცელებული პრობლემა და მითითებულია მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში:
  - კარდიოლოგია: სავალდებულო კარდიოლოგიის კურსისგარდა, რომელიც ისწავლება შინაგანი დაავადებანი 1-ის ფარგლებში, დამატებით შექმნილია ელექტიური კურსი- „არაინვაზიური გამომსახველობითი დიაგნოსტიკა კარდიოლოგიაში“
  - ონკოლოგია: „ონკოლოგია და პალიატიური მოვლა“- სავალდებულო კურსი
  - გერიატრია: შესაბამის საკითხებს მოიცავს „საოჯახო მედიცინა1“ სასწავლო კურსი
- **საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინება:**
  - ტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი ინფექციების სწავლება
  - საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელოების და ელექტრონული რესურსების გამოყენება

## პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსები და ინფრასტრუქტურა:

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შენობაში და აკადემიასთან აფილირებულ კლინიკებში.

აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: მერხები, სკამები, თეთრი და შავი დაფები, პროექტორები და კომპიუტერები, პოსტერები და ზოგიერთ აუდიტორიაში, ლოქერები. აკადემიას აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე წიგნადი ფონდით (2886 ნაბეჭდი და 10 CD/DVD ერთეული) და ელექტრონული რესურსებით, სამეცნიერო ლიტერატურით, რომლის გამოყენება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის შესაძლებელია სამკითხველოში და სასწავლო ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობისათვის, აგრეთვე, დისტანციურად.

“ელექტრონული ბიბლიოთეკის” არსებული რესურსებია:

- Clinical Key Student -სასწავლო პლატფორმა
- Osmosis – სასწავლო პლატფორმა
- Complete Anatomy 3D anatomic atlas
- Turnitin-ის პლატფორმა
- ScienceDirect და Scopus ბაზები
- Web of Science - MEDLINE ბაზა
- Hinari ბაზა

აკადემიაში ფუნქციონირებს კლინიკური უნარების და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, კომპიუტერებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი (სადაც მუშაობს სადამკვირვებლო კამერებიც, CCTV surveillance), კომპიუტერული ლაბორატორია, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, კაფე/სასადილო და სარეკრეაციო სივრცე.

**კლინიკური უნარების და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ცენტრში,** სადაც ხელმისაწვდომია სიმულაციური პალატები, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ მიიღონ და გაიძლიერონ როგორც საბაზისო, ასევე შემდგომი დონის კლინიკური უნარები თანამედროვე მანეკენების და SP პაციენტის გამოყენებით. ასევე, მათ ეძლევათ საშუალება, რომ განივითარონ კომუნიკაციისა და ავადმყოფის გასინჯვის უნარები სტანდარტიზებულ პაციენტთან (SP) მუშაობით, ან ერთმანეთის ფიზიკური გასინჯვით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების ზედამხედველობის ქვეშ.

აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ხდება სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარება და დახვეწა. სტუდენტები ახორციელებენ ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, პათოლოგიის, იმუნოლოგიის და ფიზიოლოგიის ლაბორატორიულ სამუშაოს, როგორც სავალდებულო აქტივობას ბაზისური დისციპლინების ფარგლებში. ასევე, აკადემიური პერსონალი ახორციელებს სამეცნიერო აქტივობებს და ხელმძღვანელობს სტუდენტთა ექსტრაკურსულურ კვლევით სამუშაოებს.

ანატომიის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, დამოუკიდებელი

სამუშაოს ჩატარება მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით- 3D კომპიუტერულ პლატფორმებზე, ასევე, **Anatomy Visualization System(Anatomage Table)**-ზე, რომელიც ფარავს მორფოლოგიურ დისციპლინებს - ადამიანის ანატომიას, ემბრიოლოგიას, ჰისტოლოგიას, პათოლოგიასა და რადიოლოგიას. აღნიშნული ტექნიკისთვის ადაპტირებულია სპეციალური სივრცე, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჯგუფურად იმუშაონ პედაგოგთან ერთად, ან დამოუკიდებლად.

ანატომიის, ჰისტოლოგიის და პათოლოგიის შესწავლისთვის გამოყოფილია განსაკუთრებული სივრცე-ოთახები, რომელიც აღჭურვილია მულაჟებით, პოსტერებით, მიკროსკოპული სლაიდებით და სინათლის მიკროსკოპებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება როგორც პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შენობაში, ასევე აფილირებულ კლინიკებში აკადემიური პერსონალის და მოწვეული პედაგოგების მიერ.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი კონკრეტულ სპეციალობაში როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

### დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, “საექიმო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სერტიფიცირებული ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ), განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას, ადგილობრივი რეზიდენტურის კურსის დამთავრების და უნიფიცირებული სახელმწიფო-სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეუძლია მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება საქართველოში.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება ან სხვა რაიმე საკითხის განხილვა შესაძლებელია დეკანის ოფისში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 51/2,

ტელ: +99532 2 912484; ელ-ფოსტა: [tma@tma.edu.ge](mailto:tma@tma.edu.ge)

### ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - მედიცინა

პროგრამის სახელწოდება	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა –მედიცინა
საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათანაბრებული უმაღლესი განათლების მეორე საფეხურთან
პროგრამის მოცულობა	ხანგრძლივობაა 6 წელი, 12 სემესტრი
ასათვისებელი კრედიტის მოცულობა (ECTS)	
1 კრედიტი	30 ასტრონომიულ საათი
სემესტრი	30 კრედიტი
წელი	60 კრედიტი
სულ	360 კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი - Medical Doctor
სწავლების ენა	ქართული

### პროგრამა დაყოფილია სამ ფაზად

I ფაზა	საბაზისო, ქცევითი და სოციალური დისციპლინები	1 – 3 წელი
II ფაზა	კლინიკური დისციპლინები	4 – 5 წელი
III ფაზა	ზოგადი სპეციალიზაცია	მე-6 წელი

**პირველ, საბაზისო ეტაპზე** სტუდენტებს შეისწავლიან ადამიანის ორგანოების და ორგანოთა სისტემების ნორმალურ სტრუქტურას და პროცესებს, პათოლოგიურ მორფოლოგიას და ძირითად პათოლოგიურ პროცესებს, მათ შორის, ინფექციების საფუძვლებს და ბუნებას, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის საფუძვლებს, კლინიკური ჩანაწერების წარმოებას და მოწესრიგებულად შენახვას, პროფესიული კომუნიკაციის პრინციპებს, სამედიცინო ეთიკას და ფსიქოლოგიას.

**მეორე ეტაპზე (კლინიკურ ეტაპზე)** სტუდენტები იღებენ ღრმა თეორიულ ცოდნას დაავადებებისა და სინდრომების შესახებ, მათი გამოვლინებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ. ამ ეტაპზე სტუდენტები ივითარებენ პრაქტიკულ უნარებს, კლინიკურ კომპეტენციებს - როგორც კლინიკურ გარემოში ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, აგრეთვე, კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით მანეკენებსა და სიმულაციურ/სტანდარტულ (SP) პაციენტზე.

**მესამე ეტაპზე**, რომელიც არის სწავლის ბოლო წელი, სტუდენტები განაზოგადებენ ფუნდამენტურ დისციპლინებში შეძენილ ცოდნას - თერაპია, ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, პედიატრია საოჯახო მედიცინა. სტუდენტები შეისწავლიან დიფერენციული დიაგნოზის ხელოვნებას, კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელად მუშაობენ კლინიკურ გარემოში რეალურ პაციენტთან: აწარმოებენ ფიზიკალურ გასინჯვას, აკეთებენ დიფერენციალურ დიაგნოზს, ახდენენ მონაცემთა შეგროვებას და ინტერპრეტაციას, ადგენენ გამოკვლევისა და მართვის გეგმას. სტუდენტთა კლინიკური

კომპეტენციები ფასდება WBA(Workplace Based Assessment) -ფორმატში: MiniCEX(Mini Clinical evaluation Exercise), CbD(Case based Discussion), MSF(Multi Source Feedback), DOPS(Direct Observation of Procedural Skills).

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - მედიცინა (ინგლისურენოვანი)

*საქართველოს მოქალაქეები* - დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ქართული ენის, ინგლისური ენის და ბიოლოგიის სავალდებულო გამოცდებს და ქიმიის/ფიზიკის/მათემატიკის ერთ-ერთ არჩევით გამოცდას;

*უცხო ქვეყნის მოქალაქეები* - საშუალო განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად საჭიროა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება B2 დონეზე (ენის ფლობის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილი დონეებთან შესაბამისობაში: სწავლა, სწავლება, შეფასება). ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის, ინგლისურენოვანი საშუალო განათლების სერტიფიკატის ან პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ინგლისური ენის გამოცდის, ონლაინ (მაგ.

Skype) ინტერვიუს შედეგად. საშუალო განათლების მქონე აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ნიშნების ფურცელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მითითებით (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა).

## არაკადემიური, ტექნიკური ხასიათის წინაპირობები:<sup>2</sup>

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებს იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული დარგის მიერ მოთხოვნილი პრაქტიკული უნარები შეზღუდული არ აქვთ.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კანდიდატს პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს უნდა შეეძლოს დემონსტრირებისა და ექსპერიმენტების ობზერვაცია საბაზისო საგნების სწავლების პროცესში, ქსოვილებისა და მიკროორგანიზმების შესწავლა მიკროსკოპში. კანდიდატს უნდა შეეძლოს პაციენტის დეტალური ობზერვაცია როგორც დისტანციურად, ასევე ახლო მანძილიდან. ობზერვაცია მოითხოვს მხედველობის, სმენის, და სომატური მგრძობიანობის ფუნქციონალურ გამოყენებას. კანდიდატს უნდა შეეძლოს ეფექტური ზეპირსიტყვიერი, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია პაციენტთან და გუნდის წევრებთან, ამისათვის მას სჭირდება მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარი.

პროგრამის მიზანი და ამოცანები წარმოადგენს კურიკულუმის საფუძველს და განსაზღვრავს მის შინაარსს. ყურადღება გამახვილებულია ჩვენი საზოგადოების საჭიროებებისა და სამედიცინო პრაქტიკის შეცვლილ მოთხოვნებზე, აგრეთვე, თანამედროვე სამედიცინო განათლებისათვის დამახასიათებელი მიმართულებების ინტეგრირებაზე.

## პროგრამის მიზანი

**პროგრამა მიზნად ისახავს დიპლომირებული მედიკოსების მომზადებას საზოგადოებაში ექიმის როლისა და კომპეტენციების გათვალისწინებით** - მათ აღჭურვას საერთაშორისო სტანდარტების და განახლებული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ცოდნის შესაბამისად; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერებას; კლინიკური, კომუნიკაციური და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, სამედიცინო პრაქტიკისთვის შესაფერისი მაღალი ეთიკური ღირებულებების და მიდგომების დამკვიდრებას, თვითანალიზის უნარის განვითარებას და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაციას.

## პროგრამის ამოცანები

1. მისცეს ცოდნა სტუდენტს დაავადების მექანიზმისა და მისი მკურნალობის შესახებ: ასწავლოს სტუდენტს ადამიანის ორგანიზმის ნორმალური და პათოლოგიური მორფოლოგია და ფუნქცია მოლეკულურ, უჯრედოვან, ორგანოთა სისტემების, მთლიანი ორგანიზმის დონეზე სოციალური ასპექტების გათვალისწინებით და მოახდინოს ამ ცოდნის დაინტეგრირება კლინიკურ მეცნიერებებთან და უნარებთან დაავადების დიაგნოზისა და მკურნალობის კომპეტენციის განვითარების მიზნით.
2. განუვითაროს სტუდენტს კლინიკური მსჯელობის უნარი/კომპეტენცია: ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ კლინიკური პრობლემის არსის, მეცნიერული და სოციალური პრინციპების ღრმა თეორიული ცოდნის გააქტიურებას - მის გამოყენებას კლინიკურ აზროვნებაში.
3. განუვითაროს სტუდენტს პაციენტზე ზრუნვისთვის საჭირო კლინიკური უნარები/კომპეტენცია: გამოუმუშავოს სტუდენტს პაციენტის კონსულტაციის, კლინიკური შემთხვევის მართვის, პრაქტიკული პროცედურების შესრულებისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარი/კომპეტენცია; ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ პაციენტის მოვლის უსაფრთხოებისა და ხარისხის, პაციენტზე ორიენტირებული, ჰოლისტიკური პრინციპების გათავისებებას.
4. გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიონალიზმი და ეფექტური კომუნიკაციის უნარი/კომპეტენცია: თეორიული სწავლების, სამედიცინო პრაქტიკის და თვითანალიზის(რეფლექსიის)საშუალებით ხელი შეუწყოს სტუდენტში ექიმის შესაბამისი მორალური ღირებულებებისა და ეთიკური ქცევის ჩამოყალიბებას ნებისმიერ პროფესიულ ერთიერთობასთან მიმართებაში - პაციენტისა და მისი ოჯახისთვის გულისხმიერი, ემპათიური ზრუნვის უზრუნველყოფის მიზნით; გამოუმუშავოს სტუდენტს თვითანალიზის უნარი, რითაც უზრუნველყოფს მის პერსონალურ და პროფესიონალურ განვითარებას და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაციას.
5. მისცეს ცოდნა სტუდენტს ჯანდაცვის სისტემის ძირითადი პრინციპების - ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის შესახებ: უზრუნველყოს კურსდამთავრებულის მიერ მეცნიერული ცოდნისა და კლინიკური უნარების გამოყენება ცალკეულ ინდივიდსა და საზოგადოებაში დაავადების თავიდან აცილებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიმართულებით ჯანდაცვის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.
6. აღზარდოს „სოციალური აგენტი“ კურსდამთავრებულის სახით, რომელსაც გაცნობიერებული ექნება პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე: მოამზადოს სტუდენტი, რომელიც შესძლებს საზოგადოების მოთხოვნების შესაბამის სამედიცინო საქმანობას სოციალური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, არაერთგვაროვანი მოსახლეობისა და ეკონომიური შესაძლებლობების მქონე სოციუმის პირობებში.
7. გამოუმუშავოს სტუდენტს ახალი ცოდნის შექმნისა და გავრცელების უნარი/კომპეტენცია: ხელი შეუწყოს სტუდენტის კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიულობის, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამედიცინო პრინციპების გამოყენების უნარის განვითარებას. ასწავლოს სტუდენტს მედიცინის მიმართ მეცნიერული მიდგომა და განუვითაროს ახალი ცოდნის შექმნისა და მისი კომუნიკაციის კომპეტენცია აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით სამეცნიერო პროექტის განხორციელებისა და თეზისის შექმნის საშუალებით.
8. განუვითაროს სტუდენტს გუნდში მუშაობისა და თანამშრომლობის უნარი/კომპეტენცია: გამოუმუშავოს სტუდენტს კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი - შესძინოს ინტერპერსონალური უნარები და გუნდში მუშაობის კომპეტენცია, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობისა და სამუშაო დატვირთვის გაზიარებას.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

თეორიული სწავლების მეთოდები:

**ვერბალური მეთოდი** – სწავლის პროცესში სტუდენტებთან ურთიერთობის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ინტერაქტიულ ლექციებს PPT

პრეზენტაციების გამოყენებით, ჯგუფურ სამუშაოს, სემინარებს, პრაქტიკულ სესიებს, კითხვა-პასუხს

და დამოუკიდებელი სამუშაოს წარმოებას სტუდენტის ინტერესის გათვალისწინებით. სტუდენტთან ინდივიდუალური სამუშაო გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურ კონსულტაციას, მისთვის საინტერესო და გაუგებარი საკითხების გარშემო განმარტებების მიცემას, შუალედური გამოკითხვის შედეგების განხილვას, კვლევასთან დაკავშირებული პრობლემის გარშემო ლიტერატურის შერჩევას, მის გაანალიზებაში დახმარებას და სტუდენტური კონფერენციისთვის თუ დებატებისათვის მზადებას.

**მუშაობა სასწავლო სახელმძღვანელოზე** - დამოუკიდებელი სწავლებისათვის მიცემული და ახსნილი საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;

**წერით დავალებები** - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სასწავლო პროგრამების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების დიდი ნაწილი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის წერითი დავალების შესრულებას, როგორცაა: ესე, ღია კითხვებზე პასუხების გაცემა, PPT პრეზენტაციების შექმნა; ანგარიშების, ლაბ.სამუშაოს ოქმის, შემთხვევის წარდგენის, რეფლექსიების წერა, სამედიცინო ჩანაწერების შესრულება და ა.შ.

**პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლების მეთოდები:**

**პაციენტის საწოლთან სწავლება (bedside teaching)** – სწავლების ამ მეთოდს აქვს უამრავი უპირატესობა. ის არის კლინიკური უნარების ცხადი დემონსტრირება, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დააკვირდნენ არსებული ცოდნის გამოყენებას რეალურ/პრაქტიკულ გარემოში. ამ მეთოდის შედეგად, სტუდენტები იძენენ ახალ ცოდნას, ივითარებენ პრაქტიკულ უნარებს და ცნობიერებას სამედიცინო დარგში პროფესიონალური აქტივობების შესახებ. უფრო მეტიც, სწავლების ამ მეთოდის გამოყენების დროს ვითრდება ისეთი პროფესიული უნარები, როგორცაა კოლეგიალობა, თავდაჯერებულობა და სამუშაო გუნდის მიმართ ერთგული დამოკიდებულება. პრაქტიკული უნარების დემონსტრირება შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს: პაციენტის ისტორიის ჩანიშვნა, მისი ფიზიკური შემოწმება, მიგნებების/ იდენტიფიცირებული დასკვნების რეგისტრირება, შესაბამისი გამოკვლევის და ლაბორატორიული ტესტის შეკვეთა, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების გაცნობა/ინტერპრეტაცია, კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა და შესაბამისი კომუნიკაცია პაციენტთან თუ მის თანმხლებ პირთან.

**დემონსტრირების მეთოდი** – გულისხმობს ინფორმაციის და პრაქტიკული უნარების ვიზუალიზაციას. ეს მეთოდი გამოყენებულია კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრში (Clinical Skills and Objective Structured Clinical Examination Centre) პრაქტიკული პროცედურების სწავლების მიზნით და სტანდარტიზებული/სიმულაციური პაციენტის (Standardized/simulated Patient-SP) გამოკვლევის მიზნით. დემონსტრირება შეუძლიათ როგორც პედაგოგებს, ასევე სტუდენტებს.

**Role Play / როლური თამაში** - სწავლების ეს მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა როლის შესრულებას - ძირითადად, ექიმისა და პაციენტის როლის განაწილებას, და მათი ინტერპრეტაციის დროს პრაქტიკული/კლინიკური უნარების განვითარებას. სწავლების მეთოდი- Role play ფართოდ არის გავრცელებული განათლების საბაზისო დონეზე. მისი მეშვეობით ხდება პრაქტიკული უნარების განმარტება და დემონსტრირება. ასევე, იგი გამოიყენება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) დროს, როდესაც ხდება სტანდარტიზებული/სიმულაციური პაციენტის (SP) გამოყენება როგორც საბაზისო, ასევე, კლინიკური სწავლების ეტაპზე.

**ანალიზი და სინთეზი** - მოიცავს კლინიკური შემთხვევების განხილვას, კრიტიკულ ანალიზს და იმ მიგნებების სინთეზს, რომელიც ფიზიკური, ინსტრუმენტული-ლაბორატორიული კვლევის შედეგად იქნა მიღებული, დიფერენციული დიაგნოსტიკის საფუძველზე დიაგნოზის დასმას და მკურნალობის რელევანტური მეთოდებს განსაზღვრას/ შესაბამისი მენეჯმენტის გეგმის შემუშავებას.

**ანალიზი** - ეს მეთოდი მოიაზრებს სტუდენტებთან კონკრეტული შემთხვევების განხილვას. შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზონ, რითაც ვითარდება მათი კრიტიკული ანალიზის უნარები. სწავლების ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საკმაოდ კომპლექსური სასწავლო მასალის მარტივ კომპონენტებად დაყოფა. მნიშვნელოვნად მარტივდება სასწავლო ინფორმაციის დაფარვა/დაძლევა, გაცნობა.

**სინთეზი** - ეს მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების თუ განსახილველი თემების შეჯამებას. სინთეზი გამოიყენება იმისათვის, რომ სტუდენტებს განუვითარდეთ სხვადასხვა საკითხების

შეფასების უნარი.

**დისკუსია/დებატები** - საკითხის ირგვლივ მსჯელობა - მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტის ცოდნის ხარისხს და მისი აქტივობის დონეს; ავითარებს სტუდენტების კრიტიკული აზროვნების უნარს და ეხმარება მათ, დაასაბუთონ სხვადასხვა მოსაზრება ლოგიკური არგუმენტაციის გზით. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია რეგულარულად მასპინძლობს სტუდენტების სამეცნიერო დებატებს, რომელთა ფარგლებშიც აკადემიის და ასევე, სხვა უმაღლესი სამედიცინო სასწავლო

დაწესებულებების სტუდენტები, მოწვეული არიან წინასწარ შერჩეული თემის ირგვლივ თავიანთი მოსაზრების წარსადგენად. ისინი იცავენ საკუთარ არგუმენტს ფაქტობრივი ცოდნისა და ეთიკის შესაბამისი ნორმების დაცვით.

**შემთხვევის განხილვა / Case Study** – სიტუაციური ამოცანების განხილვა სწავლების ბაზისურ და კლინიკურ ეტაპზე. საბაზისო სწავლების ეტაპზე ეს მეთოდი მოიცავს სასწავლო პერსონალის ხელმძღვანელობით კლინიკური შემთხვევების, კლინიკური კორელაციებისა და სიტუაციური სცენარების განხილვას. კლინიკურ საფეხურზე ხდება კონკრეტულ რეალური კლინიკური შემთხვევის განხილვა. სიტუაციური ანალიზი გულისხმობს ბიოსამედიცინო, სოციალური და კლინიკური დისციპლინების არსებული ცოდნის გამომქდავენებას, კლინიკურ მსჯელობას და პრაქტიკული უნარების გამოყენებას მოცემული სიტუაციის შეფასების, ანალიზის და მართვის გეგმის შემუშავების პროცესში. **ლაბორატორიული უნარ-ჩვევების სწავლება** - ხორციელდება სავალდებულო აქტივობის სახით ბიოსამედიცინო დისციპლინების ღრმად შესასწავლის, სამეცნიერო და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავების მიზნით. დამატებით, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რომ სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში და განივითარონ შესაბამისი ლაბორატორიული უნარები.

**სწავლება დიგიტალური ტექნოლოგიების გამოყენებით** - სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების/სასწავლო პლატფორმების გამოყენება, anatomy visualization system - **Anatomage table** - საშუალებით ბაზისური ბიოსამედიცინო დისციპლინების ინტეგრირებული სწავლება.

**CBCR მეთოდი/შემთხვევაზე (ქეისზე) დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა** – სწავლების ეს მეთოდი გამოიყენება მესამე კურსზე ინტეგრირებულ მოდულებში - შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკა I და II. იგი ხორციელდება სესიების ფორმატით და CBCR თემატიკა ინტეგრირებულია იმ ორგანოთა სისტემასთან, რომელიც შეისწავლება შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკის ფარგლებში.

**Flipped Classroom მეთოდი** - აქტიური სწავლების მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტს გამოუმუშავოს დამოუკიდებლად სწავლის უნარი, კლინიკური მსჯელობისა და კოლეგებთან კოლაბორაციის უნარი ჯგუფური მუშაობისას. მეთოდი დანერგილია ბაზისურ დისციპლინებში.

**TBL (გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება)** - პრობლემების გუნდურად განხილვასა და გადაჭრაზე ორიენტირებული ეს მეთოდი ადაპტირებულია პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ, როგორც პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ალტერნატიული მიდგომა აქტიური სწავლების კომპონენტის გაძლიერების მიზნით. TBL სესიები არის კლინიკური მედიცინის შესავალის (ICM) მოდულებისა და ორგანოთა სისტემების მოდულების განუყოფელი ნაწილი, აგრეთვე, გამოიყენება სხვადასხვა საბაზისო და კლინიკური დისციპლინის სწავლების დროს.

**CBL მეთოდი** - შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება - გამოიყენება კლინიკური კურაციების სწავლების ეტაპზე, მოიცავს რეალური პაციენტის შემთხვევის დეტალურ ანალიზს, აგრეთვე, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების გამოყენებით სტუდენტების მიერ გაღრმავებული ინფორმაციის მოძებნას და გამოყენებას.

**სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა** - აკადემიის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში როგორც სავალდებულო, ასევე კურიკულუმგარეშე აქტივობების სახით. განათლების საწყის დონეზე სტუდენტები შეისწავლიან სამეცნიერო კვლევის საფუძვლებს, ბიოსტატისტიკის მეთოდებს, თუ როგორ მოიპოვონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინფორმაცია და შეაფასონ ის კრიტიკულად, როგორ შეიმუშაონ კვლევის დიზაინი, დაგეგმონ და ორგანიზება გაუწიონ სრულ პროცესს, გააანალიზონ და წარადგინონ მიგნებები / კვლევის შედეგები როგორც ვერბალურად, ასევე წერილობითი ფორმით. მე-6 კურსზე სტუდენტები აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით ახორციელებენ ორ სავალდებულო კვლევით პროექტს და წარადგენენ ესეს.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ.

პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**აუდიო-ვიზუალური მეთოდი** - ეს მეთოდი გამოიყენება სწავლების ორივე ეტაპზე (საბაზისო და

კლინიკური). გამოყენებულია ატლასები, კომპიუტერული პროგრამები, ანიმაციები, ვიდეო რგოლები. აუდიო-ვიზუალური მეთოდი ასევე მოიცავს Power Point პრეზენტაციის, სლაიდებისა და დაფების გამოყენებას.

ექიმის ასისტირება - ექიმის დახმარება ავადმყოფის გასინჯვისა და მკურნალობის პროცესში, მანიპულაციების ჩატარების დროს.

## სასწავლო გეგმა პირველი წელი

I სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
		0
1	ადამიანის ანატომია I	6
2	ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია	6
3	გენეტიკა	4
4	ბიოქიმია I	6
5	აკადემიური წერა	2
6	ინტეგრირებული მოდული - შესავალი კლინიკურ მედიცინაში I (ICM I) შესავალი კლინიკურ მედიცინაში I	2
7	ქართული ენა; სამედიცინო ონგლისური ენა	4
		30
II სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
		0
1	ინტეგრირებული მოდული- ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია I (NSF I) - ზურგის ტვინი და გრძნობათა ორგანოები	7
2	ინტეგრირებული მოდული- ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია II (NSF II) - თავის ტვინი	7
3	ბიოქიმია II	6
4	მოლეკულური ბიოქიმია	3
5	ბიოეთიკა	3
6	შესავალი სამედიცინო კვლევაში	2.5
7	შესავალი კლინიკურ მედიცინაში II	1.5
		30

## მეორე წელი



III სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტ ო

1	ინტეგრირებული მოდული-ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია III (NSF III) - გულ-სისხლძარღვთა სისტემა	7.5
2	ინტეგრირებული მოდული-ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია IV (NSF IV) - სასუნთქი სისტემა	4
3	იმუნოლოგია	4
4	მიკრობიოლოგია I	6.5
5	კომუნიკაციური უნარები	2.5
6	ჯანმრთელობის სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები	3.5
7	ინტეგრირებული მოდული - შესავალი კლინიკურ მედიცინაში III TBL-ით	2
		30
<b>IV სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ინტეგრირებული მოდული-ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია V - ენდოკრინული და რეპროდუქტიული სისტემები	4
2	ინტეგრირებული მოდული - ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია VI - საჭმლის მომნელებელი სისტემა	4.5
3	ინტეგრირებული მოდული- ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია VII - შარდის გამომყოფი სისტემა	2.5
4	მიკრობიოლოგია II	5.5
5	ინტეგრირებული მოდული-დაავადებისა და მკურნალობის ზოგადი საფუძვლები I(GBDTI) - პასუხი დაზიანებაზე	6
6	ინტეგრირებული მოდული-დაავადებისა და მკურნალობის ზოგადი საფუძვლები II(GBDTII) - გენეტიკური დაავადებები, სიმსივნე, ინფექცია და ტოქსიკოლოგია	6.5
7	შესავალი კლინიკურ მედიცინაში IV (ICM IV) TBL-ით	1
		30

## მესამე წელი

<b>V სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
		0

1	ინტეგრირებული მოდული- დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები I (BDTI) კარდიოვასკულური და რესპირატორული სისტემები	7
2	ინტეგრირებული მოდული-დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები (BDT) II - საჭმლის მომნელებელი სისტემა	6
3	ქცევის ფსიქოფიზიოლოგია	3.5
4	კრიტიკული აზროვნება	2
5	სამედიცინო ფსიქოლოგია	2
6	ინტეგრირებული მოდული- შესავალი კლინიკურ მედიცინაში (ICM)V	3.5
7	ინტეგრირებული მოდული-შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა I CBCR-ით	6
		30

#### VI სემესტრი

#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ინტეგრირებული მოდული-დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები (BDT) III - უროგენიტალური სისტემა	4.5
2	ინტეგრირებული მოდული - დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები (BDT) IV - ენდოკრინული&ნერვული სისტემა	7.5
3	ინტეგრირებული მოდული-შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა II CBCR-ით	6
4	ქცევითმეცნიერება	3
5	ზოგადი ქირურგია	4.5
6	რადიოლოგია	3.5
7	შემაჯამებელი კურსი I	1
		30

#### მეოთხე წელი

VII სემესტრი		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგან სნეულებები I	8
2	ოტორინოლარინგოლოგია	2
3	ტრავმატოლოგია	3
4	ნევროლოგია	6.5
5	ნუტრიციოლოგიის საფუძვლები	2.5
6	ლაბ. მედიცინა	2

7	ინტეგრირებული მოდული - ბიოსტატისტიკა და კვლევითი პროექტი	4
8	არჩევითი: 1. ცნობიერის ფსიქოლოგია 2. კლინიკური იმუნოლოგია 3. კლინიკური მიკრობიოლოგია	2
		30
<b>VIII სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	ქირურგია I	6
2	ინფექციური სნეულეზანი	6
3	კლინიკური პარაზიტოლოგია	2
4	მეანობა	6
5	ოფთალმოლოგია	2
6	შინაგანი სნეულეზანი II	4
7	არაინვაზიური კლინიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები კარდიოლოგიაში	2
8	არჩევითი: 1. ენდოკრინოლოგია 2. ალერგოლოგია	2
		30

## მეხუთე წელი

<b>IX სემესტრი</b>		
N	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგან სნეულეზები III	7
2	გინეკოლოგია	6
3	დერმატოვენეროლოგია	3
4	ეპიდემიოლოგია	2
5	პედიატრია I	4
6	კლინიკური ტოქსიკოლოგია და გადაუდებელი მედიცინა	3
7	კლინიკური ეთიკა და სამედიცინო პრაქტიკის სამართლებრივი საფუძვლები	3
8	არჩევითი: 1. ტუბერკულოზი 2. ნეირორადიოლოგია	2
		30
<b>X სემესტრი</b>		



N	სასწავლო კურსი	კრედიტ ო
---	----------------	-------------

1	ქირურგია II	6
2	ფსიქიატრია	5
3	საოჯახო მედიცინა I	3
4	პედიატრია II	5
5	კრიტიკული მედიცინა და ანესთეზიოლოგია	4
6	დაავადებათა პრევენცია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა	2
7	უროლოგია	2
8	შემაჯამებელი კურსი II	1
9	არჩევითი: 1. რეპროდუქტოლოგია 2. ბავშვთა ქირურგია 3. ნეიროქირურგია	2
		30

## მეექვსე წელი

XI სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	საოჯახო მედიცინა II	3
2	ონკოლოგია და პალიატიური მოვლა	3
3	შინაგან სნეულებათა დიფერენციალური დიაგნოსტიკა I	6
4	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	2
5	პედიატრია III	3
6	სასამართლო მედიცინა	3
7	სამეცნიერო კვლევითი პროექტი I	3
8	გერონტოლოგია და გერიატრია	2
9	პაციენტის მოვლის უსაფრთხოება და ხარისხი	2
10	პორტფოლიო	1
8	არჩევითი: პლასტიკური ქირურგია კლინიკური ნუტრიციოლოგია ბავშვთა ნევროლოგია	2
		30
XII სემესტრი		
#	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	შინაგანი სნეულებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა II	7



2	ქირურგია III	5
3	მეანობა-გინეკოლოგია	4

4	კლინიკური ფარმაკოლოგია და ფარმაკოთერაპია	4
5	სამედიცინო რეაბილიტაცია	2
6	კლინიკური კვლევის მეთოდოლოგია	2
7	სამეცნიერო კვლევითი პროექტი II	3
8	პორტფოლიო	1
7	არჩევითი: 1. ბავშთა ორთოპედიული ქირურგია 2. სისხლძარღვთა ქირურგია	2
		30

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ სასწავლო კურსების სილაბუსებს შეგიძლიათ გაეცნოთ აკადემიის ვებ.გვერდზე - [www.tma.edu.ge](http://www.tma.edu.ge).  
სილაბუსები დაცულია “კოდით” და მისი მიღება შეგიძლიათ რეგისტრაციის შემდეგ აკადემიის დეკანატში.

### სტუდენტის შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტები სტუდენტს მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ იგი დადებითად შეფასდება კურსის დასრულების შემდეგ. სტუდენტის ცოდნის შემოწმება ხდება 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც 60 ქულა გროვდება სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების გზით, მათ შორის - შუალედური გამოცდითაც, ხოლო 40 ქულა ეთმობა დასკვნით გამოცდას. შუალედური შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

**შუალედური გამოცდა**, რომელიც ტარდება ძირითად საგნებში სემესტრის მერვე კვირას. შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 1 საათი.

**საკლასო აქტივობა**, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ვერბალურ ან წერილობით შეფასებას, პრეზენტაციას, ესეს, ლაბორატორიულ დავალებას, კლინიკური მანიპულაციის შესრულების ხარისხის შემოწმებას, პრაქტიკულ პროცედურებს, კლინიკური მსჯელობის შეფასებას, TBL ან CBCR აქტივობების შეფასებას;

**პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო)** – თვითრეფლექსია, პირადი განვითარების გეგმები და ა.შ.

აუდიტორიული/საკლასო აქტივობების ქვე-კომპონენტების რაოდენობა და ხასიათი, მათი შეფასების კრიტერიუმში განსაზღვრულია კურსის ხელმძღვანელის მიერ და აღწერილია კურსის სილაბუსში. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასკვნით გამოცდას ეთმობა 40 ქულა. იმისათვის, რომ სტუდენტმა მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, შუალედური შეფასების შედეგად მას დაგროვილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ 31 ქულა და რიგ საგნებში დამაკმაყოფილებლად უნდა ჰქონდეს შესრულებული პორტფოლიოს დავალებები. დასკვნითი გამოცდა შესაძლოა, იყოს წერილობითი, ზეპირი ან კომბინირებული - წერიითი და ზეპირი კომპონენტებისაგან შემდგარი (MCQ ტესტი ან ღია კითხვები), აგრეთვე, OSPE/OSCE ფორმატში, მე-6 კურსის ბოლოს პორტფოლიოს გამოცდა არის დიპლომის პრერეკვიზიტი. დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი გამოცდაზე დააგროვებს 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულას (50%-იანი ზღვარი).

აღსანიშნავია, რომ კომბინირებული გამოცდის ჩასაბარებლად სტუდენტმა თითოეულ კომპონენტში უნდა მიიღოს მითითებული ქულის მინიმუმ 50%.

სტუდენტს საგნის გავლის შემდეგ ენიჭება ECTS კრედიტი იმ შემთხვევაში, თუკი იგი დასკვნითი გამოცდის დასრულების შემდეგ დააგროვებს 100-დან მინიმუმ 51 ქულას. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება მერყეობს 41-50 ქულის ფარგლებში, მას ეძლევა უფლება, ხელახლა გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, სასწავლო კურსის გამეორების გარეშე. დასკვნითი გამოცდის გადაბარება



დღის ინტერვალით. თუკი სტუდენტის საბოლოო შეფასება 41 ქულაზე ნაკლებია, მან ხელახლა უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

**ინტეგრირებულ მოდულები** - მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი უნდა შეადგენდეს 31-ს იმისათვის, რომ სტუდენტი გავიდეს მოდულის საბოლოო გამოცდაზე. საბოლოო გამოცდა შესაძლოა მოიცავდეს მოდულში შემავალი ყველა სასწავლო კურსის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტებს.

**ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE)** ტარდება საბაზისო ინტეგრირებულ მოდულებში შემდეგ დისციპლინებში: მიკრობიოლოგია, ორგანოთა სისტემები: ჰისტოლოგია, ანატომია, პათოლოგია; გამოცდის ჩაბარების ზღვარია 50%;

**ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE)** - მე-6 და მე-12 სემესტრის დასასრულს ტარდება OSCE-ის ტიპის გამოცდები სტუდენტის კლინიკური კომპეტენციების შეფასების მიზნით; მე-6 სემესტრის OSCE გამოცდა ასოცირებულია “კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელინკურსი 1”-თან, აქცენტი კეთდება პრაქტიკულ უნარებზე (ანამნეზის შეკრება SP პაციენტზე, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვა მანეკენზე და მონაცემების ინტერპრეტაცია, რთულ პაციენტთან კომუნიკაცია, და პრაქტიკული პროცედურები). მე-12 სემესტრის დასასრულს OSCE გამოცდა ასოცირებულია “კლინიკური კომპეტენციების შემაჯამებელინკურსი 2”-თან, იგი აღნიშნულის გარდა, მოიცავს კლინიკური აზროვნების კომპეტენციის შეფასებასაც, რომელიც ხორციელდება როგორც სტანდარტული, ასევე, არასტანდარტული, კომპიუტერული სადგურების გამოყენებით. სტუდენტებმა აღნიშნული კომპეტენციები განვიითარეს ძირითადი კლინიკური დისციპლინების (შინაგანი დაავადებები, ქირურგია, მეანობა და გინეკოლოგია, პედიატრია, საოჯახო მედიცინა, ფსიქიატრია) შესწავლისას.

**პირადი ჩანაწერების შენახვის უნარი (პორტფოლიო)** - პორტფოლიოს საგანმანათლებლო პროგრამაში აქვს როგორც კომპეტენციების სწავლების, ასევე, მათი შეფასების როლი. პორტფოლიო წარმოადგენს დამოუკიდებლად სწავლის უნარის გამომჟღავნების მართვად საშუალებას, რომელიც სტუდენტს ეხმარება გამოიმუშავოს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევები თვითნაწილისა და პერსონალური განვითარების გეგმის საშუალებით; აგრეთვე, შეიძინოს პროფესიონალიზმისთვის დამახასიათებელი სხვა კომპეტენციები. სტუდენტები იწყებენ პორტფოლიოს დავალებების შესრულებას (მაგ. რეფლექსიის და თვითგანვითარების გეგმის წერას) პირველი სემესტრიდან ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. ამ დავალებების დამაკმაყოფილებლად შესრულება წარმოადგენს ინტეგრირებული მოდულის გამოცდაზე გასვლის პრერეკვიზიტს. სწავლების კლინიკურ ეტაპზე კომპეტენციების შეფასება ხდება WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე) მეთოდით: **MiniCEX (Mini Clinical Evaluation Exercise მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო)**, **CbD (შემთხვევის განხილვა)**, **DOPS (Direct Observation of Procedural Skills-პროცედურული უნარებზე უშუალო დაკვირვება)**. ეს შეფასებები აკუმულირდება პორტფოლიოში თვითრეფლექსიასა და პერსონალური განვითარების გეგმასთან ერთად. მეექვსე წლის დასასრულს ხდება პორტფოლიოს შეფასება - სტუდენტს დამაკმაყოფილებელ დონეზე უნდა ჰქონდეს შესრულებული პორტფოლიოს ყველა დავალება. პორტფოლიოს გამოცდის ჩაბარება(ჩათვლა/ჩაჭრა) არის დიპლომის წინაპირობა/პრერეკვიზიტი.

**სტუდენტის დღიური (Log-book)** - ასოცირებულია პორტფოლიოსთან, მასში ხდება სტუდენტის მიერ კლინიკური კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული და ათვისებული პრაქტიკული კლინიკური უნარების(პაციენტის კონსულტირება, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვა, პრაქტიკული პროცედურები, ობზერვაცია და სხვ.) შეფასებების მტკიცებულებების თავმოყრა.

**მეექვსე წლის დასასრულს დასკვნითი გამოცდა** ძირითად დისციპლინებში (შინაგან სნეულებათა დიფ.დიაგნოსტიკა, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, პედიატრია და საოჯახო მედიცინა) შედგება ორი კომპონენტისაგან - MCQ და კლინიკური შემთხვევების შესახებ ზეპირი დისკუსია. სტუდენტს გასაუბრება აქვს საგამოცდო კომისიასთან.

**უკუკავშირი(feedback):** კურიკულუმის ფარგლებში უკუკავშირი სტუდენტთან ხორციელდება

ფორმატიული შეფასების ფარგლებში: ხდება ყოველი მიმდინარე ქვიზის შედეგების განხილვა, შუალედური გამოცდების შედეგების განხილვისათვის დამატებით გამოყოფილია 2 სთ, სტუდენტს შეუძლია ინდივიდუალური უკუკავშირის მიღება ქვიზთან ან გამოცდასთან დაკავშირებით, ხდება დასკვნითი გამოცდის შედეგების აპელაცია და სტუდენტს საშუალება აქვს მონიშნული კითხვები განიხილოს საგნის პედაგოგთან. პორტფოლიოს უკუკავშირს წერილობითი ნერეტივის და უშუალოდ სტუდენტთან გასაუბრების სახით ახორციელებს მენტორი, რომელიც კითხულობს სტუდენტის თვითანალიზს და ეხმარება მას თვითგანვითარების გეგმის შედგენასა და აკადემიური საკითხების/პრობლემების მოგვარებაში.

**რემედიაცია:** გულისხმობს სტუდენტის მიერ კლინიკური(პრაქტიკული) უნარების დახვეწას და გაუმჯობესებას დამოუკიდებელი მუშაობის სახით თსა მატერიალური რესურსების გამოყენებით: კლინიკური უნარების ფორმატიული შეფასების(ობზევაციის) პროცესში უკუკავშირის მიღების შემდეგ ან კლინიკური უნარ-ჩვევებში სუმატიური შეფასებისას არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად ივარჯიშოს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში. სტუდენტს შეუძლია გაიღრმავოს ანატომიის და სხვა ბიოსამედიცინო მეცნიერებების ცოდნა- დამოუკიდებლად იმუშაოს Anatomage table-თან და მაღალკურსელ სტუდენტ-ტუტორებთან, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიუმჯობესოს ლაბ. უნარები თსა ლაბორატორიაში.

რემედიაციის პროცესს ემსახურება კურიკულუმში მე-3 და მე-6 წლის ბოლოს არსებული ე.წ. **შემაჯამებელი კურსები (Capstone courses)**, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ მოემზადონ OSCE სუმატიური გამოცდებისათვის. აღნიშნული კურსების ფარგლებში სტუდენტები იმეორებენ უკვე ნასწავლ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ხვეწენ მათ პედაგოგების ზედამხედველობის ქვეშ, აგრეთვე, აქვთ საშუალება დამოუკიდებლად იმუშაონ კლინიკური უნარჩვევების ცენტრში როგორც მანეკენებზე, ასევე, SP პაციენტთან.

## შეფასების სისტემაში ქულების გადანაწილების სქემა

ქულა	შეფასება
91-100 (A)	ფრიადი
81-90 (B)	ძალიან კარგი
71-80 (C)	კარგი
61-70 (D)	დამაკმაყოფილებელი
51-60 (E)	საკმარისი-არადამაკმაყოფილებელი, ვერ ჩააბარა სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება
41-50 (FX)	არადამაკმაყოფილებელი, ვერ ჩააბარა სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება
0-40 (F)	სრულიად არადამაკმაყოფილებელი - ჩაიჭრა; სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი

### პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები / კომპეტენციები ეფუძნება ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტს და უმაღლესი სამედიცინო განათლების ეროვნულ დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც, თავის მხრივ მოიცავს **WFME და Tuning პროექტის სტანდარტებს** და კომპეტენციების ჩარჩოს - **The CanMEDs Roles Framework**);

თითოეული კომპეტენციის დონე განსაზღვრულია მიღერის პირამიდის მიხედვით (I – IV დონე).

#### I მედიცინის ექსპერტი

**როგორც მედიცინის ექსპერტს, კურსდამთავრებულს გათავისებული აქვს ექიმის 6 როლი:**

კომუნიკატორი, კოლაბორატორი, მენეჯერი, ჯანმრთელობის ადვოკატი, სწავლული და პროფესიონალი IV

**კურსდამთავრებული იყენებს ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნას კლინიკური პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღებისას:** ანალიზებს დაავადების პათოგენეზს, აკავშირებს მას დაავადების კლინიკურ გამოვლინებასთან, დიაგნოსტიკის, დიფერენციალური დიაგნოზის, მკურნალობის, მონიტორინგის და პრევენციის პრინციპებთან. IV

**კურსდამთავრებული კონსულტიას უწევს პაციენტს და აფასებს კლინიკურ შემთხვევას:** კრებს ანამნეზს IV

ახორციელებს პაციენტის ფიზიკალურ გასინჯვას

IV აფასებს პაციენტის მდგომარეობის სიმძიმეს IV

ატარებს დიფერენციალურ დიაგნოზს IV

აგროვებს მონაცემებს(ანამნეზი, ფიზიკალური გასინჯვის მონაცემები, ლაბორატორიული გამოკვლევები დასხვ.) და ახდენს მათ ინტერპრეტაციას და ანალიზს IV

სვამს სწორ დიაგნოზს IV

აძლევს ეფექტურ, რაციონალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და ხარჯთეფექტურ დანიშნულებას IV

ადგენს პაციენტზე ორიენტირებული მკურნალობისა და თვით მოვლის მართვის გეგმას, რომელიც მოიცავს პრევენციას, ქრონიკული დაავადებების, პალიატიური პაციენტის და ტერმინალური მდგომარეობის მართვას. IV

**კურსდამთავრებული უზრუნველყოფს პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენას გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს:**

ამოიცნობს გადაუდებელ სამედიცინო მდგომარეობას და აფასებს მას: ახდენს სიმპტომებისა და ობიექტური ნიშნების იდენტიფიცირებას IV

ახორციელებს ბაზისური პირველადი დახმარების აღმოჩენას, ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარებას, გაფართოებული სიცოცხლის

შემანარჩუნებელი ღონისძიებების ჩატარებას, ტრამვების მკურნალობას და მართვას - IV

**კურსდამთავრებული ახორციელებს რიგ პრაქტიკულ პროცედურებს უსაფრთხოდ და მაღალკვალიფიციურ დონეზე (III-IV):**

- სისხლის არტერიული წნევის გაზომვა (არაინვაზიური) (IV- დამოუკიდებლად, პაციენტზე ) პერიფერიული და ცენტრალური პულსის გაზომვა (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე) სუნთქვის სიხშირის გაზომვა (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ტემპერატურის გაზომვა (IV- დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ტკივილის შეფასება შესაბამისი შკალის მიხედვით (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ჟანგბადის სატურაციის გაზომვა (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრა (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ჟანგბადის მიწოდება( IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- პაციენტის ტრანსპორტირება და მასთან მოპყრობა( IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ფილტვის ფუნქციონალური ტესტების ჩატარება( IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ინჰალაციური მედიკამენტების მიწოდება( IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)
- ძირითადი სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების განხორციელება ალგორითმის მიხედვით; (IV - დამოუკიდებლად მანეკენზე) მათ შორის:
  - CPR – კარდიოპულმონარული რეანიმაცია,
  - AED – ავტომატური გარეგანი დეფიბრილაცია, ამერიკის ჯანდაცვის ასოციაციის (AHA) პროტოკოლის თანახმად
  - BLS – DRCABD სიცოცხლის გადარჩენის ბაზისური ალგორითმი, სტერილური ხალათისა ხელთათმნის ჩაცმის ტექნიკა (IV საკუთარ თავზე) ინექცია კანში (III - მანეკენზე)
  - კანქვეშა ინექცია (III - მანეკენზე)
  - ინექცია კუნთში (III - მანეკენზე)
  - ვენოპუნქცია (ფლებოტომია) და სისხლის ღია წესით აღება (III - მანეკენზე) ინტრავენური ინექცია (III - მანეკენზე)
  - ინტრავენური კანულაცია (პერიფერიულ ვენაში კათეტერის ჩადგმა/ამოღება) კრისტალოიდური ხსნარებისა და მედიკამენტების ტრანსფუზია პერიფერიულ ვენაში (III - მანეკენზე), ინტრავენური ბოლუსი და ინექცია Hepa-lock-ის გამოყენებით(III -მანეკენზე)
  - ნაზოგასტრალური და ორო-გასტრალური ინტუბაცია (III -მანეკენზე)
  - შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (III - მანეკენზე)
  - შარდის ანალიზის გაკეთება dip stick მეთოდით(IV - დამოუკიდებლად)
  - ჭრილობის დამუშავება, ნაკერის დადება და შეხვევა(III -მანეკენზე)

- ტრავმის მართვა, იმობილიზაციის ტიპები და ტექნიკები (III - მანეკენზე).
- გარეგანი და შინაგანი სისხლდენის ჰოსპიტალიზაციამდელი მართვა (III - მანეკენზე).
- ენდოტრაქეალური ინტუბაცია და ჟანგბადის მიწოდება (III - მანეკენზე)
- ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია (შიდა საულლე ვენა, ლავიწქვეშა ვენა) (III - მანეკენზე)
- პრეპარატის შეყვანის გზები და ტექნიკა, დოზის კალკულაცია, განზავება, პრეპარატის შეყვანა ცენტრალური და პერიფერიული ვენური სისტემიდან (III - მანეკენზე)
- ელექტროკარდიოგრამის გადაღების პროცედურა, ეკგ-ს ინტერპრეტაცია (IV - დამოუკიდებლად, პაციენტზე)

**II კომუნიკატორი**

**კურსდამთავრებული ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას პაციენტთან და პაციენტის ოჯახის წევრებთან** ეთიკური პრინციპების დაცვით: კრებს ანამნეზს, მოიპოვებს ინფორმირებულ თანხმობას, განუმარტავს პაციენტს დიაგნოსტიკურ ტესტებს და პროცედურებს, მკურნალობის გეგმასა და მეთოდებს; შუძლია ცუდი ამბის შეტყობინება, აგრესიულ პაციენტთან კომუნიკაცია, შეზღუდული

შესაძლებლობების პაციენტთან კომუნიკაცია და კომუნიკაცია მესამე პირის დახმარებით. IV კურსდამთავრებული აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას– ცხადად, სრულყოფილად და თანმიმდევრულად და ახდენს მის კომუნიკაციას ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ყველა პროვაიდერთან. IV

**კურსდამთავრებული წარადგენს პაციენტის შემთხვევას/ სამეცნიერო კვლევის შედეგებს წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაციის სახით კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან. IV**

**კურსდამთავრებული დემონსტრირებას უკეთებს კომუნიკაციის ინტერპერსონალურ უნარებს:** ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას კოლეგებთან და ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, აგრეთვე, ნებისმიერ პირთან განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა. IV

**კურსდამთავრებული იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით:** ახდენს პაციენტის მოვლის ოპტიმიზაციას (დოკუმენტაციის შენახვა კონფიდენციალურობის დაცვით), აწარმოებს კვლევით აქტივობებს და კვლევის შედეგების კომუნიკაციას სამეცნიერო საზოგადოებისთან. IV

**კურსდამთავრებული ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას მედიისა და სამართლებრივი ორგანოების წარმომადგენლებთან:** დემონსტრირებას უკეთებს ძირეული სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების ცოდნას მედიასთან და სამართლებრივი ორგანოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას; მონაწილეობას იღებს ეთიკური პრობლემის გადაჭრაში; გასცემს სიკვდილის ცნობას, შეუძლია აუტოპსიის მოთხოვნა, კლინიკურ პრაქტიკაში იყენებს საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივ და პროფესიონალურ რეგულაციებს, იცავს კონფიდენციალობას. IV

### III კოლაბორატორი

**კურსდამთავრებული ეფექტურად მონაწილეობს ჯგუფურ მუშაობაში და თანამშრომლობს კოლეგებთან/ჯანდაცვის სფეროს სხვა წარმომადგენლებთან:** იღებს და აძლევს უკუკავშირს, პატივს სცემს სხვების მოსაზრებას, შეუძლია სამუშაო დატვირთვის და პასუხისმგებლობების გადანაწილება. IV

### IV მენეჯერი

**კურსდამთავრებული მართავს კლინიკურ შემთხვევას და ამჟღავნებს ლიდერის უნარებს:** სამართლიანად ანაწილებს ჯანდაცვის რესურსებს, შესწევს პრიორიტეტების დასახვის უნარი, ახორციელებს უსაფრთხო, მაღალი ხარისხის, ხარჯთეფექტურ მკურნალობას. IV

**კურსდამთავრებული მართავს პირად საკითხებს, როგორცაა:** კარიერა, დრო, ჯანმრთელობა; პირად ცხოვრებას ათავსებს პროფესიულ საქმიანობასთან. IV

### V ჯანმრთელობის ადვოკატი

**კურსდამთავრებული პრაქტიკულად იყენებს ქვევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნას პაციენტის საჭიროებების განსაზღვრისათვის:** აფასებს ავადმყოფთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს, ითვალისწინებს ავადმყოფის ინტერესებს. IV

**კურსდამთავრებული იყენებს ჯანდაცვის სისტემების ცოდნას ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის პროცესში როგორც ინდივიდუალურ პაციენტთან, ასევე საზოგადოებასთან:** შეუძლია განიხილოს და შეაფასოს ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ფაქტორები, როგორცაა გარემოსთან, პაციენტის საქმიანობასთან დაკავშირებული და ნუტრიციოლოგიური ასპექტები; კურსდამთავრებულს შეუძლია დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს პირველად, მეორეულ და მესამეულ პრევენციულ ზომებს პირველადი და მეორადი ჯანდაცვის რგოლებში, პრომოცია გაუწიოს ჯანმრთელი ცხოვრების წესს. IV

### VI სწავლული

**კურსდამთავრებული ეწევა თვით-სწავლასა და განვითარებას-** დამოუკიდებლად მართავს პერსონალურ და პროფესიონალურ წინსვლას: IV

ჯეროვნად აფასებს და აღწერს საკუთარ საგანმანათლებლო საჭიროებებს აყალიბებს და წერს პირადი განვითარების გეგმას

ახორციელებს დამოუკიდებელ სსსწავლო აქტივობებს(აქტიური სწავლა) აფასებს საკუთარი სწავლის შედეგებს

გააჩნია სიცოცხლის მანძილზე მუდმივი სწავლის მოტივაცია(რეფლექსია, თვითგანვითარების გეგმა)

კურსდამთავრებული პრაქტიკულად იყენებს სამეცნიერო-კვლევითი მეთოდოლოგიის ცოდნას:  
ნათლად სახავს ბიოსამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დისციპლინებთან დაკავშირებულ

რელევანტურ კვლევით საკითხსა თუ ამოცანას, ეფექტურად გეგმავს და იყენებს სათანადო კვლევით დიზაინს, ახდენს კვლევის შედეგების ანალიზს და დასკვნების ფორმულირებას, წარუდგენს მას კოლეგებსა თუ სხვა დაინტერესებულ საზოგადოებას. IV

**კურსდამთავრებული იყენებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებს სამედიცინო პრაქტიკაში** - ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს - ახდენს კლინიკური და სამეცნიერო-კვლევითი კითხვების ფორმულირებას, იძიებს რელევანტურ სამედიცინო წყაროებს და იყენებს ახალ ცოდნას კლინიკურ პრაქტიკაში. IV

**კურსდამთავრებული ჩართულია პაციენტის, მისი ოჯახის წევრების და კოლეგების სწავლების პროცესში:** გეგმავს და ახორციელებს სასწავლო აქტივობებს, ამღვეს უკუკავშირს სწავლისა და პრაქტიკული საქმიანობის გასაუმჯობესებლად. IV

## VII პროფესიონალი

**კურსდამთავრებული იყენებს ბიოსამედიცინო ეთიკისა და საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების ცოდნას სამედიცინო პრაქტიკაში:** არის ეთიკური პრინციპების ერთგული და ემიჯნება დისკრიმინაციას რასის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, სქესის, კულტურული ღირებულებების საფუძველზე. პაციენტთან და კოლეგებთან კომუნიკაციის დროს მოქმედებს ეთიკური და საქართველოს და საერთაშორისო სამედიცინო სამართლის პრინციპების შესაბამისად, მონაწილეობს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, პატივს სცემს პაციენტის უფლებებს და ღირსებას, იცავს კონფიდენციალობას და პრივატულობას. IV

**კურსდამთავრებული დემინსტრირებს უკეთეს პროფესიონალურ მიდგომას და ამჟღავნებს ექიმის ზოგად მორალურ ღირებულებებს, როგორცაა:** თავაზიანობა, პატივისცემა, გულისხმიერება, პატიოსნება, კეთილსინდისიერება, ალტრუიზმი და ემპათია; ორიენტირებულია საკუთარი შეცდომების აღიარებასა და გამოსწორებაზე. IV

**კურსდამთავრებული კრიტიკულად აფასებს როგორც საკუთარ, ასევე კოლეგების საქმიანობას:** შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის აღქმა და დახმარების თხოვნა, აქვს ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა პროვაიდერის კომპეტენციის შესახებ, შეუძლია ავადმყოფის სწორი რეფერალის გაკეთება; აკეთებს peer review-ს და უზრუნველყოფს უწყვეტ უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას IV

**კურსდამთავრებულს აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი:** შეუძლია ახალ და ცვალებად გარემოსთან ადაპტირება, კომპლექსური სიტუაციის ანალიზი, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს და ჭრის პრობლემას - ამჟღავნებს კრეატიულობას და ლიდერის უნარებს. IV

**კურსდამთავრებულს აქვს უნარი იმოქმედოს საერთაშორისო კონტექსტში:** იცის უცხო ენა(ინგლისური), იცნობს და მიყვება თანამედროვე სამედიცინო განათლების, მკურნალობისა და ჯანდაცვის ორგანიზების მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

**პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსები და ინფრასტრუქტურა:** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შენობაში და აკადემიასთან აფილირებულ კლინიკებში.

აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: მერხები, სკამები, თეთრი და “ჭკვიანი“ დაფები(smart boards), პროექტორები და კომპიუტერები, პოსტერები და ზოგიერთ აუდიტორიაში, ლოქერები. აკადემიას აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე წიგნებით და ელექტრონული რესურსებით, სამეცნიერო ლიტერატურით, რომლის გამოყენება შესაძლებელია სამკითხველოში და სასწავლო ზონაში ინდივიდუალური მეცადინეობისათვის. ბიბლიოთეკის ელექტრონული სასწავლო რესურსები:

□ Clinical Key Student -სასწავლო პლატფორმა

□ Osmosis – სასწავლო პლატფორმა

□ Complete Anatomy 3D anatomic atlas

□ Turnitin-ის პლატფორმა

**აკადემიაში ფუნქციონირებს:** კლინიკური უნარების და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ცენტრი, სამეცნიერო- კვლევითი ლაბორატორია, კომპიუტერებით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი (სადაც მუშაობს სადამკვირვებლო კამერებიც, CCTV surveillance), კომპიუტერული ლაბორატორია, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, კაფე/სასადილო და სარეკრეაციო სივრცე.

**კლინიკური უნარების და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ცენტრში**, სადაც ხელმისაწვდომია სიმულაციური კლინიკა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ მიიღონ და გაიძლიერონ როგორც საბაზისო, ასევე შემდგომი დონის კლინიკური უნარები თანამედროვე მანეკენების და SP პაციენტის გამოყენებით. ასევე, მათ ეძლევათ საშუალება, რომ განივითარონ

კომუნიკაციისა და ავადმყოფის გასინჯვის უნარები სტანდარტიზებულ პაციენტთან (SP) მუშაობის პროცესში, ან ერთმანეთის ფიზიკური გასინჯვით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების ზედამხედველობის ქვეშ.

**აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში** ხდება სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარება და გაძლიერება. სტუდენტები ახორციელებენ ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის, პათოლოგიის, იმუნოლოგიის და ფიზიოლოგიის ლაბორატორიულ სამუშაოს, როგორც სავალდებულო აქტივობას ბაზისური დისციპლინების ფარგლებში. ასევე, აკადემიური პერსონალი ახორციელებს სამეცნიერო აქტივობებს და ხელმძღვანელობს სტუდენტთა ექსტრაკურსულ კვლევით სამუშაოებს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებელი სამუშაოს ჩატარება მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით - 3D კომპიუტერულ მოდელებზე, ასევე, Anatomy Visualization System (Anatomage Table)-ზე, რომელიც ფარავს მორფოლოგიურ დისციპლინებს - ადამიანის ანატომიას, ემბრიოლოგიას, ჰისტოლოგიას, პათოლოგიასა და რადიოლოგიას. ანატომიის, ჰისტოლოგიის და პათოლოგიის შესწავლისთვის გამოყოფილია განსაკუთრებული სივრცე-ოთახები, რომელიც აღჭურვილია მულაჟებით, პოსტერებით, მიკროსკოპული სლაიდებით და მიკროსკოპებით. სასწავლო პროცესი ხორციელდება როგორც პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შენობაში, ასევე აფილირებულ კლინიკებში აკადემიური პერსონალის და მოწვეული პედაგოგების მიერ.

### სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი კონკრეტულ სპეციალობაში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

### დასაქმების სფერო

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, “საექიმო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს უმცროს ექიმად (სერტიფიცირებული ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ), განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

ეროვნული რეზიდენტურის პროგრამის დასრულების და უნიფიცირებული სახელმწიფო-სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება ან სხვა რაიმე საკითხის განხილვა შესაძლებელია დეკანის ოფისში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 51/2,

ტელ: +99532 2 912484; ელ-ფოსტა: [tma@tma.edu.ge](mailto:tma@tma.edu.ge)